აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№19 (25.043) სამშაბათი, 21 - 22 თებერვალი, 2023 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია წვიმა, მთაში - თოვა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 8-13, შიდამთიან რაიონებში - 0-5 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 8 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 763 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია წვიმა, მთაში - თოვა.

ეკონომიკური განვითარების საბჭოს სხდომაზე

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუკაძის ხელმძღვანელობით ეკონომიკური განვითარების საბჭოს სხდომა გაიმართა.

სხდომაზე განკარგულების ფარგლებში ბიზნესის ხელისშემწყობი ღონისძიებების შესახებ იმსჯელეს. განიხილეს პრივატიზების მიმდინარეობა, ბიუჯეტის შემოსულებები. აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2023 წლის იანვარი გადასახადების შედეგად მიღებული შემოსავლების მხრივ იყო რეკორდული.

ეკონომიკური განვითარების საბჭოს სხდომაზე ტურიზმის ნაკადებისა და 2023 წლის განმავლობაში მასშტაბური, საერთაშორისო დონის ღონისძიებების ბათუმში გამართვასთან დაკავშირებით მიიღეს გადაწყვეტილება.

აჭარის მთავრობის პრესსამსახური

ამინდი ისევ გაუარესდა

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მზემ გამოანათა თუ არა, აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და ხულოს მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული 20-მდე ერთეული ტექნიკა თოვლის საფარისგან ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გაწმენდით სამუშაოებს შეუდგა

ეტაპობრივად თოვლის საფარისგან იწმინდება როგორც ადმინისტრაციულ ცენტრებთან დამაკავშირებელი, ასევე, შიდასასოფლო გზები.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის პაქსაძეები - კუროორტი გოდერძის გზის 86-დან 106 კილომეტრამდე მონაკვეთზე.

კვირას ხულოს ტერიტორიაზე ამინდი ისევ გაუარესდა. საავტომობილო გზების ცალკეულ მონაკვეთზე ზვავი ჩამოდის.

სტიქიის ზონაში, ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად, საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატები ანზორ ბოლქვაძე და ფრიდონ ფუტკარაძე იმყოფებოდნენ და მიმდინარე სამუშაოებს აკვირდებოდნენ.

დოკუმენტური ფილმი და წიგნი-ალბომი - მარინა ჯანუტაშვილზე 2

რომელ სფეროში დასაქმებულებს ეხება ახალი რეგულაციები? 3

ინკლუზიურ განათლებაში ჩართული ყველა სპეციალისტი აქტიურად უნდა თანამშრომლობდეს მშობლებთან 5

როგორ ვიცხოვროთ აუტიზმთან ერთად? 6

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების სენატორებს ჯინ შაჰინსა და რიჩარდ დურბინს შეხვდა. განსახილველ საკითხებს შორის იყო საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობა და ამ პარტნიორობის შედეგად სხვადასხვა სფეროში მიღწეული პროგრესი.

* * *

ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით სტრატეგიული გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული და საქართველოს მეორე უარი არ უნდა ეთქვას, - ამის შესახებ პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ამერიკელ სენატორებთან, ჯინ შაჰინთან და დიკ დურბინთან შეხვედრისას განაცხადა, სადაც საქართველოს ევროინტეგრაცია, ომი უკრაინაში და შავი ზღვის რეგიონში შექმნილი უსაფრთხოების გარემო განიხილეს. როგორც ამერიკელმა სენატორებმა ორბელიანების სასახლეში განაცხადეს, ისინი აფასებენ საქართველოს პრეზიდენტის როლსა და პოზიციას ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით.

* * *

ეკონომიკის სამინისტრო სურსათზე ფასების დასარეგულირებლად ახალ კანონპროექტზე იწყებს მუშაობას. ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მისივე თქმით, კანონპროექტი დამყარებული იქნება ევროპულ პრაქტიკაზე. „ჩემი დავალებით, ეკონომიკის სამინისტრო მოამზადებს შესაბამის კანონპროექტს, რომელიც შეეხება დირექტივას სამართლიანი ვაჭრობის შესახებ. ჩვენ პარალელურად გავაგრძელებთ მუშაობას იმპორტიორებთან, ასევე დიდი ქსელების წარმომადგენლებთან და პარალელურად წარვუდგენთ ამ კანონპროექტს პარლამენტს. მინდა გამოვთქვა იმედი, რომ პარლამენტი მხარს დაგვიჭერს, ეს ევროდირექტივა და რეგულაციები შემოვიღოთ. სხვანაირად უხეში იქნება ჩვენი მხრიდან ხელოვნური ჩარევების განხორციელება“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

* * *

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა და მხარდამჭერებმა გუშინ თბილისსა და ბათუმში საპროტესტო აქციები გამართეს. შეკრებილთა მთავარი მოთხოვნა მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება და ჰუმანიტარული მიზნით, საზღვარგარეთ კლინიკაში გადაყვანაა. „არესტოვიჩისა და ფეიგინის დაანონსებულია დღევანდელი აქცია. თბილისისა და ბათუმის გარდა, აქციები მსოფლიოს 17 ქვეყანაში ტარდება“, - განაცხადა აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ალიკა კუპრავამ.

მოამზადა ია ფშველიძემ

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ანაკლიის პორტის მშენებლობისა და პროდუქტებზე ფასების დარეგულირებისთვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა იწყება

ანაკლიის პორტის მშენებლობის დაწყებაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ გამართულ მთავრობის სხდომაზე ისაუბრა

პრემიერ-მინისტრის თქმით, პორტის 51% სახელმწიფოს კუთვნილება იქნება, 49 %-ზე საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდება, თუმცა, ინვესტორის შემოსვლას არ დაელოდება მთავრობა და სამუშაოები წელსვე დაიწყება.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ აქტიურად გრძელდება გზების, მაგისტრალების მშენებლობა და აეროპორტის გაფართოებისა და სხვა კონცეფციებზე მუშაობა.

„დღეს ჩვენ დავიწყებთ ოფიციალურ მოქმედებას, რომელიც უკავშირდება ანაკლიის პორტის მშენებლობას. ეკონომიკის სამინისტრო ამზადებს შესაბამის პროცედურებს. შეგახსენებთ, რომ ჩვენი გადაწყვეტილება არის შემდეგი, - ამ პორტის 51% იქნება სახელმწიფოს კუთვნილება, 49 %-ზე გამოვაცხადებთ საერთაშორისო ტენდერს და მოვიწვევთ პოტენციურ ინვესტორებს. მაგრამ ჩვენ არ დაველოდებით მათ შემოსვლას, ჩვენ დავიწყებთ წელს სამუშაოებს. ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, რომ წელსვე დავიწყოთ ანაკლიის პორტის მშენებლობა. ასევე აქტიურად გრძელდება გზების, მაგისტრალების მშენებლობა, აეროპორტის გაფართოებისა და სხვა კონცეფციებზე ვმუშაობთ აქტიურად. ასე რომ, ყველა მიმართულებით გვაქვს პოზიტიური სიახლეები“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ამავე სხდომაზე საქართველოს მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა ჩვენს ქვეყანაში ძირითად პროდუქტებზე ფასების შემცირების აუცილებლობაზე.

„საკითხი ეხება ჩემ მიერ ორი კვირის წინ გაცემულ დავალებას, რომელიც შეეხებოდა სურსათისა და საწვავის ფასებს. ამის თაობაზე არაერთი შეხვედრა გაიმართა. ეკონომიკის, ფინანსთა და სოფლის მეურნეობის მინისტრები იყვნენ აქტიურად ჩართული. კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელობა მთლიანადაა ჩართული ამ პროცესში. ძალიან ბევრი შეხვედრა გაიმართა როგორც იმპორტიორებთან, ისე დიდ ქსელებთან, „რითეილის“ მფლობელებთან. მინდა კიდევ ერთხელ ავუხსნა ჩვენს ხალხს და საზოგადოებას, რომ სურათი, რომელიც გამოიკვეთა არის ასეთი: ჯამურად, საერთო შეწონილი, გამოდის ისე, რომ ფასნამატი არის 70, 80, ზოგ შემთხვევებში 100%-ით გაზრდილი და, რა თქმა უნდა, ეს არის მიუღებელი. ამიტომ, ჩვენ ახლა დავიწყეთ აქტიური მუშაობა, როგორ დარეგულირდეს ეს საკითხი.

ჩვენ მოვისმინეთ ასევე იმპორტიორების განმარტებები, რომ აქედან, 70-80-%-იდან, მათი მოგება არ არის, არამედ, ეს გარკვეულწილად დამოკიდებულია „რითეილის“, ანუ ამ დიდი ქსელების ერთგვარ წესებზე, რომლებიც არის მათ მიერ განსაზღვრული და სწორედ ამ წესებთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს სერიოზული, ლეგიტიმური კითხვები. ეს წესები არ არის აპრობირებული, ევროპაში ასეთი წესები არ მოქმედებს, ეს საკითხი არის დარეგულირებული ევროკავშირის, ევროპის ქვეყნებში, ზოგადად, მთელ დასავლურ სამყაროში“, - განაცხადა პრემიერმა.

ამასთან, ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მისივე დავალებით, ეკონომიკის სამინისტრო მოამზადებს შესაბამის კანონპროექტს, რომელიც შეეხება ევროდირექტივას სამართლიანი ვაჭრობის შესახებ. პრემიერის თქმით, იმპორტიორებს ექნებათ განსაზღვრული მარჟები, ფასნამატები და ასევე „რითეილის“ ექნება თავისი განსაზღვრული წესები.

„ჩემი დავალებით, ეკონომიკის სამინისტრო ახლა მოამზადებს შესაბამის კანონპროექტს, რომელიც შეეხება ევროდირექტივას სამართლიანი ვაჭრობის შესახებ. ამიტომ, ჩვენ პარალელურად გავაგრძელებთ მუშაობას იმპორტიორებთან, ასევე, დიდი ქსელების წარმომადგენლებთან და, პარალელურად, ჩვენ ასევე წარვუდგენთ ამ კანონპროექტს პარლამენტს, მინდა გამოვთქვა იმედი, რომ პარლამენტის მხრიდან მზაობა იქნება, ეს დაადასტურეს, და მხარს დაგვიჭერს, რომ ევროდირექტივა, ეს რეგულაციები შემოვიღოთ ჩვენც. სხვანაირად უხეში იქნება ჩვენი მხრიდან რაღაც ხელოვნური ჩარევა განვახორციელოთ. ამიტომ, გამოვახეთ გზა, რომ ისეთი პრაქტიკა, რომელიც ევროპამ უკვე გაიარა, ჩვენც გადმოვიტანოთ ჩვენს ქვეყანაში. ამით, რეალურად, სამართლიანი წესები დაწესდება. იმპორტიორებს ექნებათ განსაზღვრული მარჟები, ფასნამატები და ასევე „რითეილს“ ექნება თავისი განსაზღვრული წესები. ეს არის გამოსავალი, რაც ამ მოკლე ორკვირიანი მუშაობის შედეგად გამოიკვეთა.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფასები შემცირდეს, არაგონივრული, მაღალი მარჟებით არ იყიდებოდეს ძირითადი პროდუქტები. ეს ჩვენს მოსახლეობაზე, ჩვენს ხალხზე აისახება. ინფლაციაზე როცა ვსაუბრობთ, ინფლაციის გასული თვის მაჩვენებელი იყო 9,4%. აქედან 6,1% არის სურსათის ფასები. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ როგორც კი დარეგულირდება ეს საკითხები და ეს შეიძლება ძალიან მალე მოხდეს, ინფლაციაც ჩამოვა იმ ნიშნულზე, რომელიც ჩვენ გვაქვს განსაზღვრული, 5% დაახლოებით, ამ წლის განმავლობაში. რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში, ეს სიკეთე აისახება ჩვენი მოსახლეობის, ჩვენი ხალხის ჯიბეზე და მათ შემოსავლებზე. ასეთი გამოსავალი გამოვნახეთ. მთავრობა მალე გაუგზავნის ამ კანონპროექტს პარლამენტს და, იმედი მაქვს, რომ ძალიან მალე მივიღებთ შესაბამის რეგულაციებს. სხვა შემთხვევაში, უბრალოდ, გამოსავალი არ ჩანს. არ მინდა, რომ ვინმეს გავუჩინოთ განცდა, რომ მთავრობა უხეშად ერევა ბიზნესის საქმიანობაში. ეს ჩვენი ხელწერა და პრაქტიკა არ არის. ასეთი გამოსავალი გამოვნახეთ და ისე, როგორც წამლების შემთხვევაში დავარეგულირეთ და ფასები ჩამოვწიეთ - გაიფდა 60-80%-ით, შემოვიტანეთ ასევე ევროპული პრაქტიკა რეფერენტულ ფასებთან დაკავშირებით, ასეთივე ევროორეგულაციისა და ევროდირექტივების შემოღება გადავწყვიტეთ და, იმედი გვაქვს, რომ ძალიან მალე დაიწყებს ფასები კლებას“, - განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის
ადმინისტრაციის
პრესსამსახური

დოკუმენტური ფილმი და წიგნი-ალბომი – მარინა ჯახუტაშვილზე

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელსა და ვოკალის პედაგოგ მარიამ (მარინა) ჯახუტაშვილის საიუბილეო თარიღს ჩვენს ქალაქში არაერთი ღონისძიება მიეძღვნა. გუშინ მას გრანდიოზული საღამოს შემდეგ, ხელოვნების ცენტრის წინ სახელობითი ვარსკვლავი გაუხსნეს

ერთი დღით ადრე კინოთეატრ „აპოლოში“ დოკუმენტური ფილმის -„მარინა“ (ავტორი და რეჟისორი - ალეკო აბაშიძე) ჩვენება შედგა, რომელიც ბათუმის მუსიკალურმა ცენტრმა შემოგვთავაზა. ამ საინტერესო ფილმში მომღერლის ბიოგრაფიის ამსახველი მდიდარი საარქივო მასალაა თავმოყრილი, ისმენთ მის საოცარ შესრულებას ამა თუ იმ ოპერიდან და ტკბებით მარინას უზადო სილამაზით.

ფილმის დასაწყისში ჟღერს წინა საუკუნის მსოფლიოში ცნობილი სიმღერა „მარინა“, რომელსაც იტალიელები ასრულებდნენ. ამ ნოტაზე იწყება და ისე საინტერესოდ მიმდინარეობს, ერთი ამოსუნთქვით უყურებ, დასასრულამდე ამაღლებული განწყობით მიჰყვები. ფინალიც გამორჩეულია - რეჟისორი მას ევროპაში ორი წარმატებული ქართველის, ბრწყინვალე ტენორის ირაკლი კახიძისა (მარინას მოსწავლე) და ახალგაზრდა ფეხბურთელის ხვიჩა კვარაცხელიას წარმატების ამსახველი კადრებით ამთავრებს, რითაც ხაზს უსვამს მარინა ჯახუტაშვილის მსგავსი ადამიანების როლს საქართველოს მსოფლიო ასპარეზზე გასვლაში.

ფილმი რეალურ ცხოვრებაზეა დაფუძნებული. მასში არაერთ ცნობილ პიროვნებას იხილავთ, მარინა ჯახუტაშვილის შესახებ გვიამბობენ მისი პედაგოგები, კოლეგები, აღზრდილები... კინოქრონიკაში შემონახული კადრებით გაცოცხლდა სცენები ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლებიდან, მოვისმინეთ როგორც მარინა ჯახუტაშვილის, ასევე, სხვა ცნობილი საოპერო მომღერლების მიერ შესრულებული არიები.

- არაჩვეულებრივი ფილმი იყო. ალეკო აბაშიძემ 1994 წლიდან დაწყებული, მარინას შესახებ რაც კადრები ჰქონდა, შეკრა. აქ არის ძველისა და ახლის ფანტასტიკური სინთეზი. მან შესანიშნავად გამოიყენა შეგროვებული მასალა, სასწაული მონტაჟია. ამასთან, ფილმი უაღრესად კულტურულია. მინდა მივულოცო ქალბატონ მარინას საიუბილეო თარიღი, ალეკო აბაშიძეს კი შესანიშნავი ფილმი, - გვითხრა აჭარაერთი კადრის ოპერატორიცაა, მუშაობდნენ ნიკოლოზ კაჭარავა (მონტაჟი), მამუკა ფირცხალაიშვილი, მინდია მალაყმაძე (ოპერატორები). გამოყენებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის საარქივო ფონდსა და ალეკო აბაშიძის პირად ფონდში დაცული მასალები.



იმავე დღეს მოეწყო კარგად ილუსტრირებული მაღალპოლიგრაფიულად გამოცემული წიგნი-ალბომის „მე... სოპრანო“ წარდგინება, რომელიც მკითხველს მომღერლის შემოქმედებითი გზის ეპიზოდებს შეახსენებს. მისი შინაარსი ინტერვიუს სახითაა გადმოცემული, მომღერალი შემოქმედებით გზაზე და ოჯახის ტრადიციებზე საუბრობს, პირადი ცხოვრებიდან შთამბეჭდავ ეპიზოდებს იხსენებს.

გამოცემაში სრულად იხილავთ ჯილდოებსაც, რომელიც მარინა ჯახუტაშვილმა ქართულ საოპერო ხელოვნებაში გაწეული ღვაწლისთვის დაიმსახურა. აქვე გაეცნობით, რას ამბობენ ცნობილი ადამიანები ჩვენი ღირსეული თანაქალაქელის შესახებ, რომელთა შორის არიან: მუსიკისმცოდნე, კრიტიკოსი აპოლონ წულუკიძე, საოპერო მომღერალი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ცისანა ტატიშვილი, იტალიელი დირიჟორი ლორენცო ტაციერი, ცნობილი საოპერო მომღერალი ლადო ათანელი, მუსიკისმცოდნე მარინა ფარულავა....

წიგნი-ალბომი გამოიცა ბათუმის მუსიკალური ცენტრის მხარდაჭერით.

„მე... სოპრანოს“ ავტორი და რედაქტორი გახლავთ ლიკა აროშიძე, გრაფიკული დიზაინი ეკუთვნის გიორგი ანდრიაძეს, ტექნიკური რედაქტორია ირმა ჩიკვაიძე, კორექტორი - ნინო მოისწრაფიშვილი.

დოკუმენტური მასალა მიაწოდეს ჩიტო ომერაძემ, ხათუნა ჩხარტიშვილმა, თამარ ჯაფარიძემ, წიგნ-ალბომში გამოყენებულია სეირან ბაროიანის, ჯაბა სალუქვაძის, ალექსანდრე აბაშიძის, თამარ გაბაიძის ფოტოები.

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

19 თებერვალს ფარიკაობაში იუნიორთა შორის მსოფლიოს თასი გაიმართა, სადაც საქართველო 7 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი. შეჯიბრებაში 5 ქვეყნის 50 სპორტსმენი მონაწილეობდა. შეხვედრები გუნდურ სახეობაში გაიმართა, სადაც ჩემპიონი უზბეკეთის ნაკრები გახდა. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, მეორე პოზიცია დაიკავა, რაც ისტორიული შედეგია.

* * *

პოლიტიკა, არჩევნები, საზოგადოება და მედია - აღნიშნულ თემაზე საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლებისათვის ლექცია-სემინარი ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორმა ქეთრინ ჩავინიმ გამართა. ჟურნალისტებისთვის ასევე ისაუბრეს თანამედროვე მედიის მოწყობასა და მის მნიშვნელობაზე. ლექცია-სემინარი 2 დღის განმავლობაში გაგრძელდა.

* * *

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თურქეთში 6 თებერვალს დამანგრეველი მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად ჰუმანიტარული ტვირთი გაგზავნა. საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობა მიიღეს ბსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებმა, მკვლევრებმა, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა. აქციის ფარგლებში შეძენილია პირველადი მოხმარების ნივთები, ლეიბები, საბნები, ჰიგიენური და ბავშვის მოვლის საშუალებები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა მერაბ ხალვაშმა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მერაბ დიასამიძემ, რექტორის მოადგილემ ანზორ ბერიძემ მიწისძვრასთან დაკავშირებით გახსნილ ჰუმანიტარული დახმარების პუნქტში თურქეთის ვიცე-კონსულ მუსტაფა გიუნეშს, თურქეთ-საქართველოს ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარეს ოსმან ჩალიშქან-მჟავანაძეს ჰუმანიტარული ტვირთი გადასცეს და კიდევ ერთხელ ღრმა მწუხარება გამოხატეს მომხდარი ტრაგედიის გამო.

* * *

მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის ბიბლიოთეკის დარბაზში მოეწყო ნიკო გომელაურის პოეზიის საღამო. მოსწავლეებმა, პედაგოგებთან და ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან ერთად წაიკითხეს ლექსები პოეტის შემოქმედებიდან.

მოამზადა
ნაირა შუტკარაძემ

რომელ სფეროში დასაქმებულებს ეხება ახალი რეგულაციები?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილებით და საერთაშორისო ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოში მიღებულია კანონი, რომელიც უკვე შევიდა ძალაში და რომლის თანახმადაც, მომსახურების სფეროში დასაქმებული პერსონალი კვირაში 48-ის ნაცვლად 40 საათს იმუშავებს

რეგულაციები შეეხო ისეთ სამუშაოებს, როგორებიცაა სასწრაფო დახმარება, პოლიცია, მეხანძრე-მაშველი, მშენებლობებზე, რესტორნებსა თუ სასტუმროებში დასაქმებული ადამიანები. ახალი შრომითი კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, გამოყენებული იქნება გაფრთხილება, შემდეგ ჯერზე - ჯარიმა, ბოლოს კი სამუშაო პროცესის შეჩერება. შრომითი პირობების ახალი რეგულაციები გაუმჯობესებს დასაქმებულის უფლებრივ მდგომარეობას, ამასთან, აღნიშნული ცვლილება ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაა. როგორც დამსაქმებლები ვარაუდობენ, შრომითი პირობების ახალი დადგენილება პირველ ეტაპზე პრობლემებს შექმნის, კერძოდ, ბაზარზე გამოცდილი კადრების დეფიციტის გამო, მაგრამ პრობლემები გადაილახება, თუნდაც დასაქმების საგენტოსთან მჭიდრო ურთიერთობით - მათ აქვთ არაერთი პროგრამა, რითაც მომავალში მოამზადებენ ამა თუ იმ მიმართულებით საჭირო კადრებს.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით გაზეთ „აჭარასთან“ აჭარის პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე ***ზურაბ ცეცხლაძემ*** *ისაუბრა.*

- დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარი ზრუნვის საგანი უნდა იყოს დასაქმებულის უფლებების დასაცავად სათანადო გარემოს შექმნა, ამავდროულად, ისეთი სამართლებრივი რეგულირების მოდელების შემუშავება, რაც უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოფს თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გარანტიებს. სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი უნდა იყოს ღირსეული შრომა და შრომის ღირსეული ანაზღაურება, რისკენაც ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 დეკემბრის №597 დადგენილება „სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე დარგების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ არის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი შრომითი უფლებების დაცვისა და შრომის სათანადოდ დაფასების მიმართულებით, რასაც ითვალისწინებს ასევე ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება. მაშინ, როცა ევროპასა და მსოფლიოში განიხილება 35-საათიანი სამუშაო კვირა და 4-დღიანი სამუშაო კვირა, ბიზნესისთვის არ უნდა იყოს გასაკვირი სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე დარგების შემცირება იმ ნიშნით, რომ ამ ჩამონათვალში დარჩეს მხოლოდ ის დარგები, რომლებიც რეალურად საჭიროებენ სამუშაო/საწარმოო პროცესის უწყვეტობას. უამრავი დარგი იყო ადრე (და ახლაც რჩება, მაგ: ტრანსპორტი, კვების პროდუქტების წარმოება, საზოგადოებრივი ადვოკატირების პროფესიული საქმიანობა და სხვა), რომელიც არ საჭიროებდა სამუშაო/საწარმოო რეჟიმის უწყვეტობას, მაგრამ მაინც არის ჩამონათვალში. ნელ-ნელა იმ გზით უნდა ვიაროთ, რომ მაქსიმალურად შემცირდეს, ერთეულ დარგებამდე დავიდეს (ან საერთოდ გაუქმდეს) სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე დარგების რაოდენობა, - განაცხადა ზურაბ ცეცხლაძემ.

მისი თქმით, ბიზნესი ახალი რეგულაციებისთვის უნდა ყოფილიყო მომზადებული, რამეთუ ეს თემა ახალი არ არის. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №329 დადგენილება არსებობდა „სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონთვალის შესახებ“, რომელიც ძალადაკარგულად გამოცხადდა 2021 წლის პირველ აპრილს. მანამდე კი შრომის კოდექსში შეტანილი (2020 წლის 20 სექტემბრის) მნიშვნელოვანი ცვლილებებით დადგინდა, რომ საქართველოს მთავრობა სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შემდეგ, განსაზღვრავდა სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე დარგების ჩამონათვალს.

- ფაქტია, რომ ეს საკითხი მოუგვარებელი დარჩა როგორც დროის, ისე ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებების თვალსაზრისით. დეკლარირებულად შრომის კოდექსში გავწერეთ, რომ 40-საათიანი სამუშაო კვირა გვექნებოდა, მეორე მხრივ კი სპეციფიკური რეჟიმის სამუშაოების ჩამონათვალი არსებობდა, რომელიც, ფაქტობრივად, ყველა დარგს მოიცავდა, თითქოს კოდექსში ყველაფერი გამოვასწორეთ, რეალურად კი 48-საათიანი სამუშაო კვირა გვქონდა. როგორც უკვე მოგახსენეთ, სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალში ჯერაც ბევრია ისეთი დარგები, რომლებიც არ საჭიროებენ უწყვეტ სამუშაო რეჟიმს და ამ დადგენილებას ფასი არ ექნებოდა, რომ არა მისი მე-4 პუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ 48-საათიანი სამუშაო რეჟიმი უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ საწარმოებსა და საწარმოებში იმ დასაქმებულებზე, სადაც რეალურად აუცილებელი საწარმოს მოცულობიდან გამომდინარე, წარმოების, სამუშაო პროცესი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს. ამ საკითხზე მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დამსაქმებლის, დასაქმებულის (არანაკლებ დასაქმებულთა 20%-ის) ან პროფკავშირების მოთხოვნის საფუძველზე, საკითხს განიხილავს მთავარი შრომის ინსპექტორთან არსებული საკონსულტაციო ორგანო - მრჩეველთა საბჭო. როგორც ხედავთ, არსებობს მექანიზმი იმისათვის, რომ მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში საკითხზე დამატებით იმსჯელონ მხარეებმა და მიიღონ გადაწყვეტილება, საჭიროებს თუ არა ესა თუ ის საწარმო ან საწარმოში დასაქმებული მუშაობის უწყვეტ რეჟიმს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განვმარტავ, რომ მოცემული რეგულაციები ემსახურება პირველ რიგში, ევროპასთან ასოცირებული ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულებას, ასევე იმის განსაზღვრას, რეალურად მართლაც რომელი დარგები საჭიროებს მუშაობის უწყვეტ რეჟიმს, რომ ეს ბოროტად არ გამოიყენოს დამსაქმებელმა თავისი მიზნებისთვის და არ მისცეს დასაქმებულს ზეგანაკვეთურის ანაზღაურება. რეგულაციები პრობლემებს არ შეუქმნის ბიზნესს, რაიმე დამატებითი მუშახელის დაქირავება არცკი დასჭირდებათ, თუ შეეგუებიან იმას, რომ ქვეყანაში ბოლოს და ბოლოს, დადგინდება 40-საათიანი სამუშაო კვირა და იმის ზევით შესრულებული ნებისმიერი სამუშაო უნდა ანაზღაურდეს ზეგანაკვეთურად, ან კიდევ გადაუხადონ ზეგანაკვეთურად, ან გადაუნაწილონ საქმე სხვა დასაქმებულებს. ფაქტია, რომ ქვეყანაში გვაქვს ისეთი სიტუაცია, როცა დასაქმებულიც კი თვიდან თვემდე ღარიბდება. ეს პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ დასაქმებული შესრულებული სამუშაოს შესაბამის ანაზღაურებას ვერ იღებს, რაც შემდგომში იწვევს პროფესიონალი მუშახელის გადინებას საზღვარგარეთ. მერე კი ბიზნესი საუბრობს იმაზე, რომ პროფესიონალი კადრების პოვნა ჭირს. დასკვნის სახით ვიტყვი, რომ მთავრობის ხსენებული დადგენილება დადებითად აისახება შრომით ურთიერთობებში, პოზიტიურ როლს შეასრულებს ანაზღაურების გაზრდის მიმართულებით და მძიმე შრომისგან გადაღლილ დასაქმებულს გამოუთავისუფლებს გარკვეულ დროს, რაც მისცემს მას ამოსუნთქვის და დასვენების საშუალებს. ეს კი თავის მხრივ უფრო პროდუქტიულს გახდის დასაქმებულს და გაზრდის როგორც შესრულებული სამუშაოს ხარისხს, ისე, წარმოების მარგი ქმედების კოეფიციენტს, - ამბობს ზურაბ ცეცხლაძე.

კომენტარი ვთხოვეთ აჭარის დასაქმების სააგენტოს ხელმძღვანელ ***თემურ კახიძეს:***

- ადამიანური კაპიტალი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც ამაღლებს ცხოვრების დონეს, რადგან აკომპლექტებს საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროს უმაღლესი ცოდნისა და გამოცდილების მქონე სამუშაო ძალით, ზრდის შრომის მწარმოებლურობას, რაც პირდაპირ დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და წინსვლასთან. შესაბამისად, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და დასაქმებული ადამიანებისთვის ღირსეული სამუშაო პირობების შექმნის კუთხით გატარებული მართებული პოლიტიკა მნიშვნელოვანია და გავლენას ახდენს ადამიანური კაპიტალის ფორმირებაზე. სწორედ ზემოაღნიშნულს უკავშირდება უკანასკნელ წლებში გადადგმული ქმედითი ნაბიჯები სამუშაო ადგილზე უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნისა თუ დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვის კუთხით. მათ შორისაა ბოლო პერიოდში საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც სპეციფიკური სამუშაოების ნუსხა შემცირდა და 48-საათიან სამუშაო გრაფიკს მხოლოდ ის დარგები დაექვემდებარა, რომელთათვისაც აუცილებელია მუშაობის უწყვეტი ციკლი და ემსახურებიან საზოგადო სიკეთეს. შესაბამისად, სპეციფიკური სამუშაოების ნუსხას გამოეთიშა ისეთი ეკონომიკური საქმიანობების მიმართულებები, როგორიცა სასტუმრო და რესტორნები, მომსახურების სექტორი, ტექსტილის წარმოება და სხვა, სადაც საერთაშორისოდ აღიარებული ევროპული პრაქტიკიდან გამომდინარე, სამუშაო დრო განისაზღვრა არაუმეტეს კვირაში 40 საათისა. ნიშანდობლივია ისიც, რომ აღნიშნული ცვლილების შესახებ კონსულტაციები სამმხრივ ფორმატში (სახელმწიფოს, ბიზნესის, დამსაქმებელთა გაერთიანებებისა და პროფესიული კავშირის წარმომადგენლების ჩართულობით) მიმდინარეობდა. ეს ის სფეროებია, რომელზეც დასაქმებულთა დიდი ნაწილი მოდის და ყველაზე მეტი ვაკანტური პოზიციებიც გენერირდება, თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ ეს სფეროები გამოირჩევა ადამიანების დიდი გადინებით, რაც ძირითად შემთხვევაში, სწორედ არანორმირებული სამუშაო გაკვეთით და არახელსაყრელი სამუშაო პირობებით იყო განპირობებული, - აღნიშნა თემურ კახიძემ.

მისივე თქმით, განხორციელებული ცვლილებები აისახება ადგილობრივი შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის ისედაც არსებულ დისბალანსზე, თუმცა გაუმჯობესებული შრომითი პირობები, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს არააქტიური შრომითი ძალის ჩართვას ეკონომიკურ საქმიანობაში, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს დასაქმებულ პირთა მდგრადობას, რაც თვითგანვითარებისთვის საჭირო რესურსებზე (თავისუფალი დრო, ზეგეგმური სამუშაოს ანაზღაურება, მოტივაცია და ა. შ.) ხელმისაწვდომობის ზრდით იქნება განპირობებული. თემურ კახიძის ინფორმაციით, აჭარის დასაქმების სააგენტო

იხ. მე-7 გვ.

> ***„რეგულაციები პრობლემებს არ შეუქმნის ბიზნესს, რაიმე დამატებითი მუშახელის დაქირავება არცკი დასჭირდებათ, თუ შეეგუებიან იმას, რომ ქვეყანაში ბოლოს და ბოლოს, დადგინდება 40-საათიანი სამუშაო კვირა და იმის ზევით შესრულებული ნებისმიერი სამუშაო უნდა ანაზღაურდეს ზეგანაკვეთურად, ან კიდევ გადაუხადონ ზეგანაკვეთურად, ან გადაუნაწილონ საქმე სხვა დასაქმებულებს“***

> ***„პროფესიული უნარების შეძენა-ამაღლების მსურველ სამუშაოს მაძიებლებს ვთავაზობთ პროფესიულ მომზადებას ბაზარზე მოთხოვნად პროფესიულ მიმართულებებში. კურსის შემუშავება და სწავლება (თეორიული და პრაქტიკული კომპონენტი) სწორედ პროგრამაში ჩართულ დამსაქმებელთა და პროფესიული სასწავლებლის სპეციალისტების უშუალო მონაწილეობით ხორციელდება როგორც სასწავლო, ასევე სამუშაო გარემოში“***

უცხოეთი

ერთი წლის შემდეგ კიევი დგას, უკრაინა დგას, დემოკრატია დგას, - განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა, რომელიც გუშინ კიევში ჩავიდა. პრეზიდენტის სასახლეში იგი უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისა და პირველ ლედი ოლენა ზელენსკას შეხვდა. უკრაინაში მოულოდნელი ვიზიტის დროს ბაიდენმა ქვეყნისთვის დამატებით ნახევარი მილიარდი აშშ დოლარის დახმარება დააანონსა. მისი თქმით, ახალ პაკეტში შედის დამატებითი სამხედრო ტექნიკა, მათ შორის საარტილერიო საბრძოლო მასალა, „ჭაველინები“ და ჰაუბიცები.

* * *

ჩინეთი არასოდეს მიიღებს აშშ-ის მიერ ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობებისკენ თითის გაშვერას, - განაცხადეს ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. „ჩინეთის თანამშრომლობის ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობა ემყარება მესამე მხარის მიუმხრობლობასა და არაკონფრონტაციულობას ორი დამოუკიდებელი ქვეყნის სუვერენიტეტის ფარგლებში“, - განაცხადა ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-სპიკერმა ვან ვენბინმა.

* * *

ჩრდილოეთ კორეამ ორი ბალისტიკური რაკეტა გამოსცადა, ორი დღით ადრე კი იაპონიის დასავლეთ სანაპიროს მიმართულებით კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტა გაუშვა, რამაც აშშ-ისა და სამხრეთ კორეის ერთობლივი საჰაერო წვრთნები გამოიწვია. წვრთნებს ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ ინის და, კიმ იო-ჯონგი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ წყნარი ოკეანის რეგიონის სასროლ პოლიგონად გამოყენების სიხშირე დამოკიდებულია აშშ-ის ძალების მოქმედების ხასიათზე. სამხრეთ კორეის მმართველი პარტიის ხელმძღვანელმა ჩანგ ჯინი-სუკმა კი განაცხადა, რომ ფხენიანის პროვოკაციების გაგრძელება გააძლიერებს სამხრეთ კორეის მიერ ბირთვული შეკავების საკუთარი საშუალებების შექმნის აუცილებლობას.

* * *

თურქეთსა და სირიაში მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 47 ათასს გადაჭარბა, აქედან 6 ათასი სირიაში დაღუპულია. სამაშველო ჯგუფებმა სამუშაოები ორი ყველაზე დაზარალებული პროვინციის, ქაჰრამანმარაშისა და ჰათაის გარდა, ყველგან შეწყვიტეს. ოფიციალური ანკარის ცნობით, ნანგრევების ქვეშ გადარჩენილთა პოვნის იმედი იწურება. მიწისძვრის ზონებში პოლიციის, სასწრაფო და სამაშველო ჯგუფების, ასევე მოხალისეების 245 198 წარმომადგენელი იმყოფება.

* * *

ისრაელის მედიის ცნობით, გაეროს ინსპექტორებმა დაადგინეს, რომ ირანმა ურანი 84 პროცენტამდე გაამდიდრა, რაც ბირთვული იარაღის შესაქმნელ დონეს უახლოვდება. ბირთვული იარაღის წარმოებისთვის საჭიროა ურანის 90-პროცენტამდე გამდიდრება. საერთაშორისო სპეციალისტები ცდილობენ დაადგინონ, ეს ნაბიჯი თეირანმა განზრახ გადადგა, თუ პროცესი დაუგეგმავად წარიმართა.

მოამზადა
ია შველიძემ

სკოლაში მოწოდებით მასწავლებლები უნდა მუშაობდნენ

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბავშვებში შემეცნებითი პოტენციალის გაზრდის ხელშეწყობის, არაერთი საჭირო უნარისა და თვისების გამომუშავებისა და მაქსიმალურად განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია მყარი საძირკველი, ანუ დაწყებით კლასებში მიღებული ცოდნა და გამოცდილება. ჩვენი რესპონდენტი დაწყებითი კლასების მასწავლებელი ***ზაირა დიასამიძეა,*** *რომელსაც პედაგოგიური მუშაობის ოცდათორმეტი წლის სტაჟი აქვს. პედაგოგების ოჯახში გაიზარდა, დედა მათემატიკის მასწავლებელი იყო, მამა - გერმანული ენის. მასწავლებლის პროფესია ბავშვობიდანვე მოსწონდა, სიამაყით აღნიშნავს, რომ იმ ოჯახიდან, სადაც ხუთი ბავშვი იზრდებოდა, ოთხი სხვადასხვა საგნის მოქმედი პედაგოგია. თამამად შეუძლია თქვას, რომ მასწავლებლის პროფესია მათი ოჯახის ტრადიციაა, რომელსაც წლებია ღირსეულად ემსახურება.*

- იყო მასწავლებელი, მით უფრო, დაწყებითი კლასების, ნიშნავს...

- გიყვარდეს ბავშვები, გქონდეს სათანადო ცოდნა, განუწყვეტლივ ზრუნავდე საკუთარ პროფესიულ ზრდაზე, არ ჩამორჩე სიახლეებს განათლების სფეროში. მხოლოდ მზარდ და მიზანდასახულ მასწავლებელს შეუძლია, სწორად ჩაუყაროს საფუძველი ბავშვის მომავალს. ამ მიზნების შესრულებაში მხოლოდ ბავშვებისა და პროფესიის უანგარო სიყვარული დაგვეხმარება. დაწყებით კლასებში იწყება ბავშვის მოსწავლედ ჩამოყალიბება, საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება. მოსწავლეები იძენენ თანამშრომლობის, კითხვის, წერის, ზეპირმეტყველების უნარ-ჩვევებს, რომელიც სჭირდებათ როგორც სასკოლო, ისე მთელი ცხოვრების განმავლობაში.

- თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, როგორ უნდა მივუდგეთ ბავშვებს მყარი და მეგობრული კომუნიკაციის ჩამოსაყალიბებლად და რა ტიპის აქტივობებისას იხსნებიან უკეთ და ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში?

- ვფიქრობ, უპირველესი ბავშვის ნდობის მოპოვებაა. სწორედ ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობაა მყარი და საიმედო. მის შემდეგ ადვილია ბავშვთან დამეგობრება და მისი სიყვარულის დამსახურება. ჩემი აზრით, დაწყებით საფეხურზე ყველა მოსწავლის მისაბაძი მაგალითი და ზოგჯერ იდეალიც კი, მასწავლებელია. აქედან გამომდინარე, სწორედ მის პიროვნულ თვისებებზეა დამოკიდებული ყველაფერი. თუ მასწავლებელი მოიპოვებს მოსწავლის ნდობას, ის ადვილად შეძლებს, გახადოს ბავშვი მეტად გახსნილი, აქტიურად ჩართოს საგაკვეთილო პროცესში. ამიტომაც, მნიშვნელოვანია გაკვეთილში სახალისო, ინტერაქციული, შემოქმედებითი აქტივობების ჩართვა, მაგალითად, „თამაშით სწავლა“, „კეთებით სწავლება“, „როლური თამაში“, რებუსები, თავსატეხები, დიაგრამები...

- მასწავლებელი თითოეული ბავშვის ფსიქოლოგიურ თავისებურებებსაც უნდა ჩასწვდეს. როგორ ახერხებთ ბავშვების გონებრივი, ემოციური და სოციალური უნარების გაუმჯობესებას და სწავლისადმი მეტი მოტივაციის გაჩენას?

- ჩემი აზრით, ბავშვი ჯერ მასწავლებელს შეიყვარებს და შემდეგ - საგანს, რომელსაც ვასწავლით. ვფიქრობ, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რა საგანს ასწავლი. მნიშვნელოვანია, როგორ ჩასწვდები ბავშვის ფსიქოლოგიას, ამოიცნობ მის მისწრაფებებს, სურვილებს, მოიპოვებ მის ნდობას და შეძლებ მის ინტერესებს მოარგო საგაკვეთილო პროცესი, მიაღწიო მაქსიმალურ ჩართულობას. ყველა ბავშვი მზეა, პატარა სახელმწიფო, პატარა ლამაზი სამყაროა თავისი, ჯერ გაუაზრებელი, მაგრამ ფერადი ოცნებებითა და მისწრაფებებით. ყველაფერი აინტერესებს, უამრავი კითხვა უტრიალებს თავში და დაუფიქრებლად ისვრის კიდეც შეკითხვებს. შენ კი ყველაფრისათვის უნდა იყო მზად, რადგან არ იცი, როდის რას გკითხავენ, როგორი განწყობით და ემოციებითაა დღეს მოსული სკოლაში. ზოგჯერ მათი ცრემლებიც გვაფორიაქებს. ამიტომაც, მასწავლებელი ასეთ დროს ყველაზე თბილი, ზომიერად ყურადღებიანი და, რაც მთავარია, სამართლიანი უნდა იყოს.

- აუცილებელია მშობლის, მასწავლებლისა და სკოლის მჭიდრო კომუნიკაცია, რომ სწავლა-სწავლების პროცესი მეტად გამართული და პროდუქტიული იყოს... დღეს მშობლები რამდენად ეხმარებიან მასწავლებელსა და სკოლას?

- ვფიქრობ, მშობელი ყველაზე ძლიერი რგოლია სასწავლო-აღმზრდელობით ჯაჭვში, რადგან მის პასუხისმგებლობასა და მიზანდასახულობაზეა დამოკიდებული მოსწავლის პასუხისმგებლობა და სასწავლო მიღწევები. ჩემი კლასის მაგალითზე შემიძლია გითხრათ, რომ მშობლები აქტიურად არიან ჩართულნი კლასის ცხოვრებაში, ერთად ვაგვარებთ ნებისმიერ პრობლემას. მშობლების გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია არაფორმალური განათლების აქტიური წარმართვა.

- აუცილებლად უნდა გკითხოთ სახელმძღვანელოებზე: რამდენად სწორადაა ის მორგებული დაწყებითი კლასების მოსწავლეებზე, მათ გონებრივ შესაძლებლობებზე, რამდენად სწორად არის დასმული აქცენტები, რომელიც ბავშვს სხვადასხვა მიმართულებით მართებული აზრის ჩამოყალიბებაში შეუწყობს ხელს?

- მე გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით ვმუშაობ. მას თან ერთვის სამუშაო რვეულები, ვიდეო და აუდიოდისკები, სასწავლო რესურსების ე.წ. ბმულები და სხვა. ტექსტები და თეორიული მასალა შეესაბამება მოსწავლეთა ასაკს და მათ გონებრივ განვითარებას. აქვე აღვნიშნავ, რომ აქტიურად ვიყენებ საბავშვო მხატვრულ ლიტერატურას.

- სამწუხაროდ, ყველა, ვინც სკოლაში ასწავლის, არ არის მოწოდებული მასწავლებლობისათვის. როგორია სკოლაში გატარებული თქვენი ერთი დღე და რა ემოციებს გაძლევთ პატარებთან ურთიერთობა?

- სიმართლე გითხრათ, ეს საკითხი პრობლემურად მიმაჩნია. ვფიქრობ, სკოლაში მხოლოდ მასწავლებლობისათვის მოწოდებული, საკუთარ პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული, თავისი საგნის მცოდნე და შრომისმოყვარე კადრები უნდა მუშაობდნენ. შემთხვევითი პროფესიის ადამიანების ადგილი არ არის აქ... ჩემი ყოველი დღე სკოლაში ერთმანეთისგან განსხვავებულია. დღე ბავშვებთან სასიამოვნო შეხვედრით იწყება. პატარები ზარის დარეკვამდე ასწრებენ თავიანთი ემოციების, თავსგადახდენილი ამბების მოყოლას. საგაკვეთილო პროცესი დატვირთული, შრომატევადი და საკმაოდ დამღლელია, რაც კლასში მოსწავლეთა დიდი რაოდენობითაა გამოწვეული. დაწყებით კლასებში ხომ ყოველდღიურად, ყველა საგანში, ყველა მოსწავლის გამოძახება, შემოწმება უნდა მოვასწრო. თუმცა, პატარებთან ურთიერთობა, მათი კისკისი, უანგარო სიყვარული და სიკეთე მომავალი დღის ძალასა და ენერგიას მაძლევს.

- რა მიგაჩნიათ განათლების სისტემის ყველაზე მთავარ გამოწვევად?

- განათლების დაბალი ხარისხი უმთავრესი გამოწვევაა საქართველოში. სამწუხაროდ, ქართველი ბავშვები გარკვეულწილად დაშორდნენ წიგნს, ციფრულ ტექნოლოგიებს მიეჯაჭვნენ.

- სამომავლოდ როგორი სკოლის არსებობას ისურვებდით საქართველოში?

- სკოლის, რომელიც ცოდნის კერა იქნება თავისი კეთილმოწყობილი სასკოლო გარემოთი, თანამედროვე ინფრასტრუქტურით, მდიდარი საინფორმაციო ტექნოლოგიებით, სასწავლო კაბინეტებითა და სპორტული და სააქტო დარბაზებით; სკოლის, რომელშიც მოსწავლეები მიიღებენ მაღალი ხარისხის ცოდნას და შეიძენენ 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებს, რომლის წარმატებულ ტრანსფერსაც შეძლებენ რეალურ ცხოვრებაში.

უკრაინა

უკრაინა დაჟინებით მოითხოვს რუსეთისთვის სპეციალური ტრიბუნალის მკაფიო პროცედურას, რომელსაც უნდა ჰქონდეს ზესახელმწიფოებრივი იურისდიქცია და რუსეთის მაღალჩინოსნებისთვის ფუნქციური იმუნიტეტების მოხსნის შესაძლებლობა, ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელმა მიხაილო პოდოლიაკმა განაცხადა. „ჩვენ, უდავოდ, დაჟინებით მოვითხოვთ სპეციალური ტრიბუნალის მკაფიო პროცედურას და, ხაზს ვუსვამ, რომ ის ცალკე უნდა შეიქმნას და ჰქონდეს არა ეროვნული, არამედ ზესახელმწიფოებრივი იურისდიქცია. ასევე, როგორც ტრიბუნალის დამფუძნებელ ქვეყნებს შორის შეთანხმების ნაწილი, მას უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, ფუნქციური იმუნიტეტი მოუხსნას რუსეთის ხელმძღვანელობას“, - განაცხადა პოდოლიაკმა. ამასთან, როგორც მან აღნიშნა, მსოფლიომ უნდა დაინახოს, რომ ისინი, ვინც ომი წამოიწყეს, სამართლდებიან. შეგახსენებთ: უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ სპეციალური საერთაშორისო ტრიბუნალის შესაქმნელად სამუშაო ჯგუფი ჩამოაყალიბა, რათა უკრაინის წინააღმდეგ აგრესიაში დამნაშავეები მართლმსაჯულების წინაშე წარსდგნენ.

* * *

საფრანგეთს სურს, რომ რუსეთი დამარცხდეს უკრაინაში, მაგრამ არ სურს მისი „განადგურება“, ამის შესახებ საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა ფრანგულ გამოცემა Le Journal du Dimanche-ს განუცხადა. „მე არ ვფიქრობ, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ჩვენ უნდა განვიზრახოთ რუსეთის ტოტალური დამარცხება, საკუთარ მიწაზე რუსეთზე თავდასხმა... ამ დამკვირვებლებს, უმთავრესად, რუსეთის განადგურება სურთ. ეს არასდროს ყოფილა საფრანგეთის პოზიცია და არც არასდროს იქნება ჩვენი პოზიცია“, - აღნიშნა მაკრონმა.

* * *

აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის კიევში ჩასვლა არა მხოლოდ პოლიტიკური სიგნალია მოსკოვისათვის, არამედ აშშ-ის მხრიდან ღია განაცხადია, რომ ვაშინგტონს არ ეშინია და ბოლომდე აპირებს უკრაინის დახმარებას რუსეთის შესაჩერებლად. ჯო ბაიდენის განცხადებით, ის ეწვია კიევს, რათა კიდევ ერთხელ დაადასტუროს შეერთებული შტატების ურყევი მხარდაჭერა უკრაინის მიმართ, გამოაცხადოს ახალი სამხედრო დახმარება და ახალი სანქციები. „როდესაც მსოფლიო ემზადება უკრაინაში რუსეთის სასტიკი შეჭრის ერთი წლისთავის აღსანიშნავად, მე დღეს კიევში ვარ, რათა შევხვდე პრეზიდენტ ზელენსკის და დავადასტურო ჩვენი ურყევი ერთგულება უკრაინის დემოკრატიის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ“, - აღნიშნულია ჯო ბაიდენის განცხადებაში, რომელსაც თეთრი სახლი ავრცელებს.

* * *

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი პუტინთან დიალოგის დამყარების მცდელობაში დროს ამაოდ კარგავს. პრეზიდენტ ზელენსკის იტალიური გამოცემა Corriere della Sera-ის ჟურნალისტმა დაუსვა შეკითხვა, ეთანხმება თუ არა ის მაკრონის პოზიციას, რომ „რუსეთი უნდა დამარცხდეს, მაგრამ არ დაინგრეს“ და რომ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან დიალოგი ღიად უნდა დარჩეს. „ეს იქნება უსარგებლო დიალოგი, ფაქტობრივად, მაკრონი დროს ამაოდ კარგავს. მე მივედი დასკვნამდე, რომ ჩვენ არ გვაქვს ძალა, შევცვალოთ რუსეთის პოზიცია. თუ მათ გადაწყვიტეს, თავიანთი თავის იზოლირება მოახდინონ ძველი საბჭოთა იმპერიის აღდგენის ოცნებაში, ვერაფერს გავხდებით“, - განაცხადა პრეზიდენტმა ზელენსკიმ.

* * *

რუსეთმა უკრაინაში უკვე დაკარგა დაახლოებით 142 860 სამხედრო. ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ ინფორმაციაშია ნათქვამი. მათივე ცნობით, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა, 2022 წლის 24 თებერვლიდან 2023 წლის 20 თებერვლის პერიოდში, გაანადგურეს რუსული მხარის კუთვნილი 3,310 ტანკი, 6,545 ჯავშანტექნიკა, 2,327 საარტილერიო სისტემა, 469 ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა, 243 საზენიტო საბრძოლო სისტემა, 298 საბრძოლო თვითმფრინავი, 287 ვერტმფრენი, 2,016 უპილოტო საფრენი აპარატი, 873 ფრთოსანი რაკეტა, 18 საბრძოლო ხომალდი/კატერი, 5196 სხვადასხვა მანქანა და ტანკერი, ასევე 224 ერთეული სპეციალური აღჭურვილობა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

საქართველოს ძალისხმევას მხარს დავუჭერთ...

აშშ-ის სენატორმა დიკ დურბინმა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ აშშ აფასებს საქართველოს უკრაინისადმი მხარდაჭერას, რომელიც გენერატორების გაგზავნასა და უკრაინელი ლტოლვილების მიღებას გულისხმობს.

„უკრაინაში რუსეთის სასტიკი შეჭრის ერთი წლის თავზე, პრეზიდენტი ბაიდენი უკრაინას, კიევს მოულოდნელად ეწვია. ეს კიდევ ერთი გამოხატულება იყო იმ მტკიცე მხარდაჭერისა, რომელსაც უკრაინის თავისუფლებას ვუცხადებთ. ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ და დავაფასოთ ქართველი ხალხის უკრაინისადმი მხარდაჭერა. ერთ-ერთია ინდუსტრიული გენერატორებით უზრუნველყოფა, რაც თავად უკრაინელების მოთხოვნა იყო, რადგან მათ ეს სჭირდებოდათ; მეორე უკრაინელი ლტოლვილების მიღება იყო. დღეს ერთ-ერთ მათგანს შევხვდით. მან მართლაც ძალიან გულსატკენი ამბავი მოგვიყვა, თუ რისი გავლა მოუწია მის ოჯახს რუსეთის აგრესიის შედეგად.

რუსეთის არაპროვოცირებულმა, უსამართლო შეჭრამ, უკრაინელი ხალხის სიმამაცემ და ბრძოლამ ძალიან ბევრი ევროპული ერი გააერთიანა, რასაც საქართველოც უერთდება. საქართველოს განცხადება ევროკავშირის წევრობისათვის ამ ძალისხმევის ნაწილია. ჩვენც პირობას ვდებთ, რომ ამ ძალისხმევას მხარს დავუჭერთ“, - განაცხადა სენატორმა.

სენატორის თქმით, ქართველი ხალხი მასზე შთაბეჭდილებას ახდენს, რადგან ისინი მტრისა და გამოწვევების წინააღმდეგ მტკიცედ დგანან.

„მე საქართველოში მესამედ ვარ და იმედი მაქვს, რომ კიდევ დავბრუნდები. ყოველ ჯერზე ქართველი ხალხი ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ისინი სხვადასხვა მტრის, გამოწვევებისა და მისი ტერიტორიის მიტაცების წინააღმდეგ მტკიცედ დგანან“, - აღნიშნა დიკ დურბინმა.

ამირან გურიელიძე

„ჰუმანური საქართველო“ – ბედნიერი მომავლისთვის

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

საგანმანათლებლო პროექტი „ჰუმანური საქართველო“ - „ჰუმანური აჭარა“ ბათუმშიც დაიწყო. მისი მიზანი მშობლების მხარდაჭერა, ოჯახის სიმტკიცის ხელშეწყობა, ტრადიციების და კულტურის შენარჩუნება, ბავშვების ზნეობრივი აღზრდაა

აკადემიკოსი, პედაგოგი და ფსიქოლოგი, ჰუმანური პედაგოგიკის ფუძემდებელი **შალვა ამონაშვილი** პროექტის ფარგლებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს და მასწავლებლებს შეხვდა და ჰუმანური პედაგოგიკის პრინციპებზე, მიზნებსა და ამოცანებზე ისაუბრა. მან ღონისძიების მონაწილეებს ჰუმანიზმით გამორჩეული მასწავლებლის ვარვარა ვარდიაშვილის პედაგოგიური მიდგომები და მიღწევები გააცნო, რომლისგანაც გაიზიარა ჰუმანური პედაგოგიკის გაკვეთილის მოდელი.

„ზოგი მოვიდა, მიგვანგრია-მოგვანგრია და წავიდა, არ ვიცი, ვინ აგვაწყო და ვინ დაგვშალა, მაგრამ იყო ერთი მასწავლებელი, რომელსაც ყოველთვის მინდა მუხლი მოვუყარო - ქალბატონი ვარვარა, რომელსაც დეიდა ვაროს ვეძახდით სკოლაში. მე ვასწავლი იმას, რაც მისგან ამოვკრიბე... არცერთი ბავშვი, რაც უნდა ჩამორჩენილი იყოს, არ დატოვოთ შემკობის გარეშე. მე ვიყავი ჩამორჩენილი ბავშვი და ვარვარო მასწავლებელმა დამიბრუნა ჩემი თავის რწმენა. ბავშვი სწავლა და ცოდნა კი არ არის, არამედ ადამიანია და რად უნდა ცოდნა, თუ არ აგრძნობინებთ, რომ ის რაღაცად ფასობს, უიმისოდ თქვენი ცხოვრება ღარიბდება. თუ ეს ასე არ იქნება, ბავშვი თქვენ არ შეგიყვარებთ და თუ არ შეგიყვარათ, სწავლას რა ფასი აქვს“, - აღნიშნა შალვა ამონაშვილმა, რომელმაც სტუდენტების აქტუალურ შეკითხვებსაც უპასუხა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ შალვა ამონაშვილს გავესაუბრეთ.

- რას გვეტყვით პროექტ „ჰუმანურ აჭარაზე“ და ამ ორდღიან შეხვედრებზე?

- ბათუმში ამ ორ დღეში იმდენი რამ ვნახე და განვიცადე, რასაც წლის განმავლობაში შეიძლება ვერ ნახავ და ვერ განიცდი. პროექტის ფარგლებში სკოლებს ვსტუმრობდი, შევხვდი ქალაქის მერს, ბატონ არჩილ ჩიქოვანს. მასთან სტუმრობა ძალიან შთამბეჭდავი იყო. ამ ორ დღეში შევხვდი მოსწავლეებს, სტუდენტებს, მასწავლებლებს, ყველ-

აფერმა ამან დამანახა, რომ „ჰუმანური საქართველოს“ და „ჰუმანური აჭარის“ შექმნა ძალიან სასიკეთო და სასარგებლო საქმეა, ეს ხალხს უნდა, ეს უნდა ახალგაზრდობასაც და ხანშიშესულებსაც. დაინახავდით, დღევანდელ შეხვედრაზე მასწავლებლები როგორი ყურადღებით მისმენდნენ. მათ უნდათ, რაღაცა შეცვალონ, უკეთესი გახადონ თავიანთი შრომა. ძალიან მიყვარს აჭარლები და ახლა მეტად შემიყვარდნ-ენ. აქ, ომამდე, ჩემი სიმამრი გივი ნიორაძე განათლების მინისტრის მოადგილე იყო, სახელმძღვანელოებიც კი ჰქონდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ისტორიაში. ის წარსული და დღევანდელი დღე მაახლოებს აჭარასთან, აჭარლებთან. მინდა მასწავლებლებს ვუსურვო სიკეთე, სიმშვიდე, ბავშვის სიყვარული, საკუთარ თავზე ზრუნვა, თავისი პედაგოგიური ხელოვნების სრულყოფა. გვახსოვდეს, რომ აღზრდის ჭეშმარიტება საკუთარი თავის აღზრდაშია. მასწავლებლებს ვთხოვ, თუ არ გრძნობთ ბავშვის სიყვარულს, არ მიაკითხოთ სკოლის კარებს, გაიტანჭებით და მათაც გატანჭავთ.

- ამბობენ და თქვენც აღნიშნეთ, რომ სხვანაირი ბავშვები მოდიან, რას ეტყვით მოზარდებს, ასევე მათ მშობლებსა და პედაგოგებს?

- ბავშვები ნაირნაირები არიან, ახლად დაბადებული ბავშვიც ბავშვია და 16 წლის მოზარდიც ბავშვია თითქოს. ამიტომ მივმართავ მოზარდებს, რომლებიც უკვე საგონებელში არიან ჩავარდნილი და ესმით, როგორც იტყვიან „ქიციც და ქიცმაცურიც“, ჩემო ძვირფასო ახალგაზრდებო, ეს ქვეყანა გბარდებათ თქვენ, ამ ქვეყანაში ზრუნავდნენ თქვენზე, მაგრამ გაუგებრობაც ბევრი იყო, ბევრი დავაშავეთ თქვენ წინაშე, ბევრი რაღაცა ისე არ უნდა დაგიტოვოთ, როგორც არის. ჯერ ერთი, უნდა შეგვინდოთ და მეორე, არ გაიმეოროთ ჩვენი შეცდომები, უკეთესად გააკეთეთ, გიყვარდეთ მშობლები, ბებია, პაპა, გვარი გიყვარდეთ, არ შეარცხვინოთ იგი, თქვენი სახელი გიყვარდეთ, რადგან თქვენს სახელში მშობლების ანდერძია ჩადებული. გიყვარდეთ მასწავლებელი, იმიტომ, რომ როგორც იცის, ისე გასწავლის, სამაგიეროდ, უყვარხართ! არ დაემდუროთ მათ, თუ შეგიძლიათ, შეეშველეთ, დაეხმარეთ, ისინიც გაჭირვებაში არიან!

თქვენ კი იოცნებეთ იმაზე, რაც თითქოს შეუსრულებელია, მაგრამ დაისახეთ ისეთი ოცნება, რომ შესრულდეს. თუ ოცნებები არ გექნებათ, მომავალიც დაიკარგება, რაზედაც ვოცნებობთ, მომავალიც ისეთივე გვექნება, ცუდზე ვოცნებობთ - ცუდი... ამიტომ კარგი საოცნებო გაიჩინეთ. რაც მთავარია, ერთმანეთს ემეგობრეთ, არავინ არ აიგდოთ აბუჩად, ვინც აბუჩად იგდებს სხვას, თვითონ არის აბუჩად ასაგდები, ასეც მოხდება მის ცხოვრებაში. დაიცავით სუსტი, იმეგობრეთ ყველასთან, როგორიც უნდა იყოს ის. თქვენ არ იცით, 20 წლის შემდეგ სად შეხვდებით, რომელ ხიდზე, რომელ გზაჯვარედინზე, ვინ ვინ გახდება, ვის ვისი ხელი დასჭირდება, აი, ეს დაიხსომეთ კარგად, დანარჩენს თქვენ თვითონ მიხვდებით. მიიღეთ ჩემი სიყვარული და დიდი პატივისცემა.

ლალი ჯაფარიძე: ინკლუზიურ განათლებაში ჩართული ყველა სპეციალისტი აქტიურად უნდა თანამშრომლობდეს მშობლებთან

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებზე ზრუნვა სულ უფრო ფართომასშტაბიანი ხდება. განათლების სამინისტრო მუდმივ რეჟიმში აფინანსებს ინკლუზიური განათლების პროექტებს, რაც ამ კატეგორიის ადამიანების ჯანსაღ გარემოსთან ადაპტაციას უწყობს ხელს. შეიცვალა საზოგადოების დამოკიდებულებაც, გაითავისეს, რომ სიბრალულზე მეტად მათ სიყვარული და თანადგომა სჭირდებათ. დიდია ამ მიმართულებით სპეციალური მასწავლებლების როლიც. დღევანდელი ნომრის სტუმარია განათლების ხარისხის მაგისტრი, ინკლუზიური სწავლების ფსიქოლოგი, ბათუმის მე-4 და დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლების უფროსი სპეციალური მასწავლებელი და ტრენერი ლალი ჯაფარიძე

- თქვენთვის, როგორც სპეციალური მასწავლებლისთვის, რამდენად მნიშვნელოვანია სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა?

- ზოგადად, მასწავლებლობა რთული და საპასუხისმგებლო პროფესიაა, მით უფრო, თუ შენ მუშაობ განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან. მასწავლებლის პასუხისმგებლობაა, შეიყვანოს ბავშვი ცოდნის სამყაროში, ეს ნიშნავს იყო თითოეული მოსწავლის მეგობარი, იზრუნო მათი ცოდნის დონის ამაღლებაზე და დაეხმარო სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

ხშირი კომუნიკაცია უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან, საჭიროების შემთხვევაში კი სხვა სპეციალისტებიც ჩართონ. მათ არ უნდა გამოეპაროთ არაფერი, რომ ბავშვი აღიზარდოს და კარგი განათლება მიიღოს შესაფერის გარემოში, კომპეტენტური პირებისგან, რაც არის სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების წინაპირობა. რა დიაგნოზის ან სწავლასთან დაკავშირებული სირთულისაც არ უნდა იყოს ბავშვი, მშობელმა ყველაზე კარგად იცის მისი შესაძლებლობები. ამიტომ, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული ყველა სპეციალისტი აქტიურად უნდა თანამშრომლობდეს მშობლებთან, თუ სურთ კარგი შედეგის მიღება.

- მოსწავლის სიყვარული რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვის?

- მათი სიყვარული გაძლევს სტიმულს, უფრო მონდომებული ხარ, გსურს მეტი გააკეთო მათთვის და ამით ბედნიერი იყო. სადაც სიყვარული არაა, მუშაობასაც აზრი არ აქვს. მოსწავლეს თუ უყვარხარ, ამაზე კარგი არაფერია, მაშინ შენც ბავშვი ხარ და უფრო მეტი ხალისით და ენერგიით აკეთებ საქმეს. ხშირად ვფიქრობ ბავშვობაზე, ვავლებ პარალელს და ყოველთვის ვცდილობ, მოსწავლის ადგილას წარმოვიდგინო თავი.

- მშობლების როლი როგორია ამ პროცესში?

- მშობლებთან მეტი მუშაობა და ინკლუზიური განათლების მნიშვნელობაზე ინფორმაციების მიწოდებაა საჭირო, რადგან ხშირად, სწორედ მათი წინააღმდეგობის გამო, ვერ ხერხდება მოსწავლის დროული შეფასება. მშობლის ჩართულობა და მხარდაჭერა სასწავლო პროცესში არის ბავშვის სასკოლო განვითარების ერთ-ერთი მთავარი პირობა.

- სპეცმასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად და შშმ პირებთან სამუშაოდ, უპირველესად, რა არის საჭირო?

- სპეციალურ მასწავლებლად რომ იმუშაო, აუცილებელია სტატუსის მოსაპოვებელი გამოცდის ჩაბარება. ასევე, უნდა გქონდეს სრულყოფილი, ფასეულობებზე ორიენტირებული ხედვა. პედაგოგი კარგად უნდა იცნობდეს მისი მოსწავლეების მდგომარეობას და შეეძლოს სწორი სტრატეგიების შემუშავება. მან უნდა დაარწმუნოს შშმ მოსწავლე, რომ მთავარი სურვილი და მონდომებაა და რომ შეუძლებელი არაფერია.

- ვიცით, რომ ხართ ყრუთა საზოგადოების წევრი და სწავლობთ ჟესტურ ენას. ეს თქვენი სურვილია, თუ ჟესტური ენის ცოდნა ყველა სპეცმასწავლებლისთვის აუცილებელია?

- ყრუთა საზოგადოება არის ადგილი, სადაც სითბო და სიყვარულია. იქ კვირაში სამოთხ დღეს, ჩემი სურვილით დავდივარ. მინდა, ძალიან კარგად ვისწავლო ჟესტური ენა და მოვუწოდებ ყველას, რომ მათაც ისწავლონ. თავდაპირველად იქ ჩემი მოსწავლეების გამო მივედი. ადრეც მყავდა და დღესაც მაქვს შეხება სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეებთან. ძალიან მინდა ბავშვებმა ისწავლონ და მიიღონ სრულფასოვანი განათლება, რაშიც ამ მიმართულებით შეძენილი ახალი უნარები დამეხმარება.

- გრძნობთ თუ არა სახელმწიფოს მხარდაჭერას?

- სახელმწიფოს მხარდაჭერა რომ არა, ინკლუზიური განათლება ვერ განვითარდებოდა. თუმცა ესაა პროცესი პროცესში და ჯერ კიდევ იცვლება ბევრი რამ. გასულ წლებს თუ შევადარებთ, მივხვდებით, რომ ძალიან ბევრი რამ გაკეთდა ამ მხრივ. 28-წლიანი პედაგოგიური გამოცდილება მაქვს. ხუთი წელია, რაც ვმუშაობ სპეცმასწავლებლად და ერთი წუთითაც არ ვნანობ, რომ ეს ნაბიჯი გადავდგი. შშმ პირების საჭიროებები მუშაობის პროცესში უფრო კარგად ჩანს. ერთ-ერთ ინტერვიუში აღვნიშნე და ახლაც გავიმეორებ, მთავარი პრობლემა ისაა, რომ ამ მიმართულებით არ გვყავს საჭირო რაოდენობის ჟესტური ენის მცოდნე სურდო თარჯიმნები.

- რა მიგაჩნიათ თქვენს მუშაობაში მთავარ პრობლემად?

- მთავარი პრობლემა გეგმის შედგენა და საგაკვეთილო პროცესში აქტივობების სწორად შერჩევაა. პრობლემაა ისიც, რომ შშმ მოსწავლეები ხშირად აცდენენ სკოლას, რაც მიზნის მიღწევაში მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ფაქტორია.

- გამოსავალს რაში ხედავთ?

- გამოსავალი ერთია - მეტი ინფორმაციის მიწოდება როგორც მშობლებისთვის, ისე ცალკეული მასწავლებლისთვის. გაცდენები, ძირითადად მათი მდგომარეობიდან გამომდინარეობს, ამიტომ გამოსავალი მოდიფიცირებული ცხრილი და ინდივიდუალური გრაფიკის შედგენაა. მე, პირადად, ასეთ დროს მშობლებს სახლში ვაწვდი ამობეჭდილ ადაპტირებულ მასალებს. კარგი იქნება, რომ მშობლებსაც ჩავუტაროთ ტრენინგები, ავუხსნათ ინკლუზიური განათლების არსი და მნიშვნელობა, რომ დროულად მოხდეს ყველა იმ მოსწავლის შეფასება, რომელიც საჭიროებს დამატებით საგანმანათლებლო დახმარებას.

> ***„ გამოსავალი ერთია - მეტი ინფორმაციის მიწოდება როგორც მშობლებისთვის, ისე ცალკეული მასწავლებლისთვის. გაცდენები, ძირითადად მათი მდგომარეობიდან გამომდინარეობს, ამიტომ გამოსავალი მოდიფიცირებული ცხრილი და ინდივიდუალური გრაფიკის შედგენაა. მე, პირადად, ასეთ დროს მშობლებს სახლში ვაწვდი ამობეჭდილ ადაპტირებულ მასალებს. კარგი იქნება, რომ მშობლებსაც ჩავუტაროთ ტრენინგები***

- საზოგადოების დამოკიდებულებაზე რას გვეტყვით?

- საზოგადოებას დღეს გაცილებით თბილი დამოკიდებულება აქვს სსსმ თუ შშმ პირების მიმართ. მნიშვნელოვნადაა ამაღლებული ცნობიერების დონე და არავინ მათ განსხვავებულობას ხაზს აღარ უსვამს, აღარაა გაფართოებული თვალები შშმ პირის დანახვისას. რაც შეეხება სსსმ სტატუსს, თანაკლასელებმა ამის შესახებ არც იციან, არც ჩვენ ვაკეთებთ რაიმე აქცენტს, შესაბამისად, დამოკიდებულება ისეთია, როგორც სხვა დანარჩენ მეგობრებთან.

- თქვენ არაერთ პროექტში იყავით ჩართული, ახალ პროექტებზე მუშაობას თუ გეგმავთ?

- ამჟამად ერთ პროექტზე ვმუშაობ, რომელიც მთლიანად შშმ პირების მხარდაჭერას და ჟესტური ენის პოპულარიზაციას ითვალისწინებს. ძალიან მინდა, ყველა სმენადაზიანებულმა მოზარდმა შეძლოს თანატოლებთან კომუნიკაცია.

«მალე ტურისტებს კალოთაში ტაძარიც დახვდებათ»

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

წელს ხიხაძირში ქართული სკოლის აღდგენიდან 100 წელი სრულდება. ჩვენი სტუმარია აბუსერისძე ტბელის პრემიის ლაურეატი, წლების განმავლობაში ამ საგანმანათლებლო კერის დირექტორი ნოდარ აგაშიძე

- წინა საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში სხალთის თემი რომ შეიქმნა, მისი პირველი თავმჯდომარე ფურტიოელი იუნუს ბერიძე იყო. ეს თემი ახლანდელი შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების 8 ადმინისტრაციული ერთეულის 35-ზე მეტ სოფელს აერთიანებდა. ცენტრი ჯერ ფურტიოში, შემდეგ სოფელ ყინჩაურში ყოფილა. ოლადაურში, თხილვანაში, ფაჩხაში ქართული სკოლების აღდგენის შემდეგ, ხიხაძირში ხელახლა გაჩნდა შრომის (დაწყებითი) სკოლა. მას სხვადასხვა წელს ხელმძღვანელობდნენ ილარიონ გუნთაიშვილი, ალექსანდრე ქუთათელაძე, მიხეილ შარაშენიძე, მათე გოგუაძე, სერგო ჯაიანი. ალექსანდრე ქათამაძის დირექტორად მუშაობის პერიოდში (1936-1939 წწ) დღის წესრიგში დადგა ახლანდელი ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, ღორჯომის შემდეგ, მეორე საშუალო სკოლის გახსნის საკითხი. ამ სტატუსის სკოლას 1939-1941 წლებში ავქსენტი იმნაძე ხელმძღვანელობდა. ისტორიამ შემოგვინახა ვლადიმერ მექვაბიშვილის, შაქრო მანელიშვილის, გიორგი (ჟორა) კვაჭაძის, მიხეილ ზაქარაძის, ნოდარ ჯაყელის, დიმიტრი ხოზრევანიძის, არჩილ, მამია იშხნელიძეების, მეჯიდ, ალექსანდრე გაბაიძეების, არჩილ ჯაიანის და სხვათა გვარ-სახელები, რომელთა დაკვალიანებულმა თაობებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს რეგიონისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ აღმასვლაში. მეც მხვდა პატივი, 1998-2011 წლებში ხიხაძირის სკოლის დირექტორად მემუშავა. ახლა მას არჩილ ხალვაში ხელმძღვანელობს. ხიხაძირის სკოლის კედლებში 50-ზე მეტი მეცნიერი აღიზარდა. მისი კურსდამთავრებულები იყვნენ მწერალი რევაზ გორგაძე, პუბლიცისტი არჩილ ხალვაში, პოეტი გულიკო გაბაიძე.

- 720 მოსწავლისთვის განკუთვნილი შენობა 1977 წელს შევიდა ექსპლუატაციაში...

- ყველა ხიხაძირელისთვის დიდი პატივი იყო, სკოლის ახალი შენობის ექსპლუატაციაში შესვლა, საქართველოს და აჭარის განათლების მაშინდელმა მინისტრებმა ოთარ ქინქლაძემ და ვახტანგ წულუკიძემ რომ მოგვილოცეს. მოსწავლეთა კონტინგენტიც საკმარისი იყო. დრომ ბევრი რამ შეცვალა. ხიხაძირსაც დაშლა-დაცარიელების საფრთხე დაემუქრა. მოსწავლეთა კონტინგენტი მინიმუმამდე დავიდა. სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კვალიფიციური პედაგოგები ხელს უწყობენ სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვას. 22 პედაგოგიდან 19 უფროსი მასწავლებლის წოდებას ვატარებთ, რამდენიმე წამყვანი და მენტორი მასწავლებლის წოდების მოპოვებისთვის ვიჭერთ თადარიგს.

- ხიხაძირელ პედაგოგთაგან პირველი ხართ, რომელმაც აბუსერისძე ტბელის მუნიციპალური პრემია მოიპოვეთ. «ტბელობაზე» რას გვეტყვით?

- აბუსერისძე ტბელის ცხოვრება და მოღვაწეობა აბაშიძეების გვართან უშუალო კავშირშია. მოპოვებულია მასალები, რომ ხიხაძირში ჩვენი წინაპარი ცხმორისიდან დამკვიდრებულა. ამჟამად ყველაზე მეტი კალოთაში არიან. ჯერ კიდევ ფუშრუკაულის საშუალო სკოლის მასწავლებელი ვიყავი, როცა ეთერ დეკანაძის ინიციატივით «ტბელობა» წამოვიწყეთ. იმ წლებიდან მოყოლებული, ყველა ზეიმის მონაწილე ვარ. მრავალმა წამოწყებამ, თუნდაც დღესასწაულმა იერსახე შეიცვალა, «ტბელობამ» კი უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა. ეს მას შემდეგ, რაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ინიციატივით წმინდა სინოდმა ტბელი წმინდანად შერაცხა. კარგად მახსოვს, სკოლის დირექტორი რომ ვიყავი, სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი მეუფე სპირიდონი როგორ მაღალ დონეზე ატარებდა «ტბელობას» ხიჭაურში. ბოლო წლებში ადგილობრივი მოსახლეობის აზრი გაითვალისწინეს და ზეიმი ისევ ტბელის სამკვიდროში ტარდება.

- სკოლა სერგო ჯაიანის სახელს ატარებს...

- ხიხაძირელები სკოლის ყველა დირექტორს პატივს სცემდნენ, მის საქმიანობას აფასებდნენ. საშუალო სკოლის სტატუსის მოპოვების შემდეგ სერგო ჯაიანი ორჯერ იყო სკოლის დირექტორი. ის ხიხაძირში პირველი გახლდათ, ვინც ადგილობრივ მკვიდრთაგან უმაღლესი განათლება მიიღო. მას მადლიერმა საზოგადოებამ სათანადო პატივი მიაგო. ინიციატივას, ხიხაძირის სკოლას სერგო ჯაიანის სახელი მიკუთვნებოდა, ყველამ დავუჭირეთ მხარი. დღეს ვამაყობთ, რომ სკოლა მის სახელს ატარებს. მას შემდეგ მთისუბნის საჯარო სკოლას შერიფ, ხოლო ბაკოს სკოლას - სელიმ ხიმშიაშვილების სახელი მიეკუთვნა. წლებია, აბუსერისძე ტბელის სახელს თხილვანის საჯარო სკოლა ატარებს. ამ სოფელში ქართული სკოლის აღდგენის საუკუნოვან იუბილეს სერგო დუმბაძემ, ნიკოლოზ დუმბაძემ და შოთა ბოლქვაძემ შესანიშნავი წიგნი «ასწლოვანი სკოლა აბუსერისძეთა ნაფუძარზე» მიუძღვნეს. იმედია, ხიხაძირის სკოლის შემთხვევაშიც ასე იქნება.

- კალოთელი აბაშიძეების სამკვიდროს ეკლესიის ნაშთები ემიჯნებოდა. შემონახული კედელი ჩაქცევის პირას იყო. სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის, მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით, მისი რესტავრაცია-კონსერვაცია მიმდინარეობს...

- კალოთის, თიკანაურის, ვერნების, თხილვანის, კვატიის ნაეკლესიარები ჩვენი სახე და სახელია. კიდევ რამდენიმე წელი და კალოთის ეკლესიის შემორჩენილი კედელი, სხვათა მსგავსად, ჩამოიქცეოდა. უფალმა მიიყვანა ადამიანები იმ მოსაზრებამდე, რომ აღდგენითი სამუშაოები დაეწყოთ. ხიხანის ციხეს, ხიმშიაშვილების საზაფხულო რეზიდენციას მთისუბანში, შერიფისა და დედამისის - დუდი-ხანუმის საფლავებს, სერიყანაში სელიმ ხიმშიაშვილის თავკვეთის ადგილს უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტორები არ აკლია. სულ მალე ტურისტებს კალოთაში ტაძარიც დახვდებათ.

- ადრე ხიხანის ციხეზე ბაგირგზის გაყვანაზეც იყო საუბარი.

- ამ ეტაპზე ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, ტურისტულმა სამსახურებმა ციხეზე ასასვლელი გზა-ბილიკის მოწესრიგება ჩათვალეს მიზანშეწონილად, რაც დროული და აქტუალურია. ხიხანის ციხესთან მისვლა ადრე ტრანსპორტით შეუძლებელი იყო, ახლა ეს საკითხი მოწესრიგდა, თუმცა ბაკოდან ციხემდე ბაგირგზის გაკეთება მნახველთა რაოდენობას გაზრდის, ადგილობრივ მოსახლეობასაც სასიკეთოდ წაადგება. დრო, რომელიც ვიზიტორს ციხეზე ასვლა-ჩამოსვლაში ეკარგება, სხვა ისტორიული ძეგლების მონახულებაზე გადანაწილდება. სკოლის დირექტორად ჩემი მუშაობის წლებში, ეს იდეა გავახმიანეთ, იყო შეპირებაც, მაგრამ ბოლო დროს ამაზე აღარც კი საუბრობენ. არადა, რეგიონის წარმომაგენლობითი ორგანოს პირველი პირი დავით გაბაიძე აქაურია...

- აბუსერისძე ტბელის მუნიციპალური პრემიის ლაურეატს, მისი ძეგლის ან ბიუსტის დადგმაზე რა მოსაზრება გაქვთ?

- «ტბელობის» პირველი დღესასწაულიდან მოყოლებული, ეს იდეა იდეის დონეზე რჩება და მას პრაქტიკულად განხორციელება არ ეღირსა. შორს რომ არ წავიდეთ, უკვე ხულოშიც გვყავს მოქანდაკეები, რომლებსაც შეუძლიათ, ტბელის სახე ქვაში გააცოცხლონ. უფრო მეტიც, მისი ბიუსტები ან ქანდაკება ხიხაძირში, ხულოსა და ბათუმშიც უნდა გვქონდეს. იმ ეპოქაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტბელის სადარი ასტრონომი, ჰიმნოგრაფი, მწერალი და ღვთისმოსავი პიროვნება არ ჰყავდა, რაც რომის პაპმაც აღიარა.

ჯანმრთელობა

როგორ ვიცხოვროთ აუტიზმთან ერთად?

ხატია იაშვილი 555 18 48 88

იყო დრო, როცა არავინ იცოდა, რა იყო აუტიზმი, მოზარდის უცნაურ ქცევას ბავშვურ სიცელქეს, გაფანტულობას ან გენეტიკას აბრალებდნენ. დღეს ბავშვის თითოეულ შეფერხებულ ქმედებაზე შეშინებული მშობელი ექიმთან მიდის და თითქმის ყველას აუტიზმის რომელიმე სპექტრს ან აუტიზმის დიაგნოზს უსვამენ.

როგორ უნდა დავეხმაროთ ასეთ დროს შვილებს? - ამ და სხვა კითხვებით 4 წლის გიორგის დედას ***ნინო ბერიძეს*** *მივმართეთ, ისინი აუტიზმს უკვე წელიწადზე მეტია, ებრძვიან.*

- ქალბატონო ნინო, მადლობა, რომ დაგვთანხმდით ინტერვიუზე. დარწმუნებული ვარ, თქვენი რჩევა ბევრ მშობელს გამოადგება. მოგვიყევით, თავდაპირველად რატომ მიმართეთ ექიმს?

- მადლობა თქვენ, რომ მომეცით საშუალება, ასე ღიად მესაუბრა ჩემს პრობლემაზე. გიორგიმ, როგორც ყველა ამ ასაკის ბავშვმა, პანდემიის პერიოდი სახლში გამოკეტილმა გაატარა და მის ქმედებებს თუ უმოქმედობას ვერ ან არ ვამჩნევდით, მარტოობას ვაბრალებდით. ერთადერთი, ვინც მითხრა, რომ ბავშვის ქცევაში რაღაც არ მოსწონდა, ჩემი და იყო. როგორც კი პანდემიის შეზღუდვები მოიხსნა, გიო ბათუმის ერთ-ერთ კერძო საბავშვო ბაღში მივიყვანეთ. 2 კვირის შემდეგ ბაღის გამგემ დამიბარა და მითხრა, რომ ბავშვს პრობლემები ჰქონდა და ექიმთან მიყვანა მირჩია, რათა დაგვიანებას რაიმე გართულება არ მოჰყოლოდა. ძალიან გავბრაზდი, ჩავთვალე, რომ ბავშვი ცელქი იყო და ამის გამო დისკომფორტს მოერიდნენ. მეორე დღიდან იმ ბაღში გიო აღარ მიმიყვანია. ერთ კვირაში სხვა ბაღში შევიყვანე. გადმოვიწერე ტელეფონში სამეთვალყურეო კამერის მონაცემები და მთელი დღის განმავლობაში ვუყურებდი, რას აკეთებდა ჩემი შვილი ახალ ჯგუფში. თითქმის მთელი დღე იატაკზე იწვა, არ ეკონტაქტებოდა ბავშვებს, მხოლოდ ჭამის დროს მიდიოდა მათთან. მუსიკის ხმაზე ხელებს ყურებზე იფარებდა და ცდილობდა,

თავი კედლისთვის მიერტყა. გამოგიტყდებით, თავიდან მეგონა, რომ ჩემთან განშორებას აპროტესტებდა. ახლა რომ მახსენდება, საკუთარ თავზე ვბრაზდები, ასე მგონია, იმ სამმა თვემ, რაც დაკვირვებას მოვანდომე, ბევრი დააკლო ჩემი შვილის ჯანმრთელობაზე ზრუნვას.

- როგორ მიხვედით დასკვნამდე, რომ გიორგი ექიმთან უნდა მიგეყვანათ?

- ერთმა გარემოებამ ძალიან დამაფიქრა - ბავშვს როცა ვეძახდი, არ მპასუხობდა. ამასაც ვუპოვე გამართლება - მამის ხასიათს დავაბრალე. იატაკზე რომ წვებოდა და ისე თამაშობდა, მეგონა, ასე კომფორტულად გრძნობდა თავს. მუსიკა და ხმაური რომ არ უყვარდა, ამაზე ვამბობდი - მყუდრო გარემოში გაიზარდა-მეთქი. ყველა ნივთს ჰორიზონტალურად აწყობდა და მიხაროდა, უნიჭიერესია-მეთქი, სათამაშო მანქანას აიღებდა და მხოლოდ ბორბლებს ატრიალებდა თითებით. ამაზე ვხუმრობდი - ინჟინერი გამოვა-მეთქი. მოკლედ, ყველა მის ქცევას ჩემებურად ვამართლებდი, სანამ ერთ-ერთი ჩემი მეგობრის შვილის დაბადების დღეზე არ წავედით. გიორგი უკვე სამი წლის იყო, ის ბავშვი 2-ის გახდა და უკვე საუბრობდა, გიორგის კი დედაც არ დაუძახია. საბედნიეროდ, სტუმრებში ექიმი ქალბატონი იყო, რომელიც გასართობ ცენტრში მთელი საღამო თურმე ჩემს შვილს აკვირდებოდა. წასვლისას მითხრა, ტრაპიზონში ძალიან კარგი ექიმია ალი ჯანსუ და მას აჩვენე ბავშვი, რატომღაც მგონია, თქვენს ანგელოზს აუტიზმის ნიშნები აქვსო.

- ანუ ექიმის თვალით დანახულმა ბავშვმა უკვე დაგაფიქრათ?

- დიახ. ტრაპიზონში წავედი, ალი ჯანსუ მართლაც კარგი სპეციალისტი აღმოჩნდა. პირველ ვიზიტზე დიაგნოზი არ დაუსვამს, მედიკამენტური მკურნალობა და ფსიქოლოგთან ვიზიტი დაგვინიშნა. 6 თვეში, როდესაც კლინიკაში განმეორებით წავედით, აუტიზმის დიაგნოზით დავბრუნდით უკან. მანამდე გადავიკითხე ყველა ლიტერატურა, ინტერნეტმასალა... რამდენი რამ გამომრჩენია, ვერ ვამჩნევდი. თურმე 3 თვიდან შეგიძლია ადევნო შვილის ქცევას ყურადღება. მინდა ყველა დედამ გაითვალისწინოს ჩემი შეცდომა და დროულად მიმართოს ექიმს, შესაძლოა, ადრეულ ასაკში ერთმა მედიკამენტმაც კი საუკეთესო შედეგი გამოიღოს.

- ქალბატო ნინო, როგორც მივხვდი, მხოლოდ ერთი წელია, რაც მკურნალობთ. ახლა როგორაა გიორგი, თუ ბალანსდება მისი ქცევითი ნორმები?

- დიახ, ერთი წელია დავდივართ სარეაბილიტაციო ცენტრში, ბაღშიც და ცალკე სპეცმასწავლებელიც გვყავს აყვანილი. იგი ყოველ საღამოს მოდის ოჯახში და ორი საათი თამაშ-თამაშით ამეცადინებს ბავშვს. რომ გითხრათ, კარგი შედეგი გვაქვს, მოგატყუებთ. გიორგის ახლა თვეების ბავშვის ინსტინქტები აქვს, „უმისამართოდ“ დადის, ელემენტარული დავალების შესრულება არ შეუძლია - კარი მიხურე, შუქი ჩააქრე, მომიტანე, წაიღე, თვალებში არ მიყურებს, ამ დროის განმავლობაში მხოლოდ იატაკზე წოლა დათმო და გაბრაზებულზე - კედელზე თავის მირტყმა, ხმამაღალ ხმაზე ხელებს ყურზე აღარ იფარებს და ხანდახან მის სახელზე რეაგირებს. აღარც ტელეფონს ითხოვს, ახლა ურჩევნია, ფანჯარასთან იდგეს და მანქანებს უყუროს ან, უბრალოდ, თავისთვის ითამაშოს. ექიმმა მითხრა, პროგრესი ნამდვილად შეიმჩნევაო. გარანტიას მაძლევს, რომ 6 წლისა უკვე ისაუბრებს, ახლა ბგერების გამოთქმას ცდილობს. შევეჩვიე, რომ დიაგნოზი - აუტიზმი სულ ჩვენ გვერდით იქნება, ცხოვრების ყველა ეტაპზე მოგვიწევს მასთან ბრძოლა, მაგრამ არ მეშინია, მთავარია, შედეგი იყოს და მზად ვარ, ჩემი შვილისთვის მაქსიმუმი გავაკეთო.

მადლობა ქალბატონ ნინოს გულწრფელი საუბრისთვის. თქვენ კი, ვინც ინტერვიუს წაიკითხავთ და თქვენს შვილს რომელიმე სიმპტომს შეამჩნევთ, ნუ შეშინდებით, აუტიზმს მრავალი სპექტრი აქვს და შესაძლოა, ერთი მედიკამენტითაც უშველოთ, მთავარია, დროულად მიმართოთ ექიმს. აუტიზმის სპექტრის დადგენა, როგორც მედიკოსები განმარტავენ, 3 თვიდან შეიძლება. კერძოდ, თუ ბავშვი მოძრავ საგნებს თვალს არ აყოლებს და სტატიკური საგნებით უფრო ინტერესდება, მაგალითად, დედის ოთახში გადაადგილებას ვერ ამჩნევს, მაგრამ საწოლის გადასაფარებელს დაჟინებით უმზერს, ხმაურზე არ რეაგირებს, ნივთების ხელით შეხებას არ ცდილობს, ადამიანებს არ უღიმის, არ ღუღუნებს, ახალი სახეებისადმი ინტერესს არ იჩენს, უკვე აუტიზმის ნიშანია. 7 თვიდან წლამდე ასაკის ბავშვებში გამოვლენა ასეთია: დაძახებისას თავს არ აბრუნებს და არ ინტერესდება, თუ საიდან მოდის ხმა, ყურადღებას არ გაქცევთ, არასდროს იცინის და არც ხმამაღლა ყვირის, სხვადასხვა მოძრაობით თქვენი ყურადღების მიპყრობას არ ცდილობს, თამაშისადმი ინტერესს არ იჩენს, ცალკეულ სიტყვებს არ ამბობს, უარის ნიშნად არ იქნევს ხელს ან თავს, არ იყენებს მარტივ ჟესტიკულაციას, სურათებსა და საგნებზე ხელით არ მიგითითებთ... თუ თქვენს შვილს აღნიშნულ სიმპტომებს ამჩნევთ, პედიატრს უნდა მიაკითხოთ. დროული ინტერვენცია ბავშვის კოგნიტური და ქცევითი უნარების განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. სპეციალისტის დახმარებით, ბავშვი აუტიზმის სიმპტომებთან გამკლავებას ისწავლის. თუმცა ეს სიმპტომები ხშირ შემთხვევაში სულ არ ნიშნავს, რომ თქვენ შვილს აუტიზმის აშლილობა აქვს. შესაძლოა, ძალიან მსუბუქი სპექტრი გამოვლინდეს და დროულად მოხდეს ქცევითი ნორმების დარღვევის დარეგულირება.

აუტიზმის დამახასიათებელი ნიშნების სირთულის ხარისხი განსხვავებულია ყოველ

იხ. მე-7 გვ.

სამდღიანი სტრესის შემდეგ...

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ჩოხატაურელი თათია გაგუნია და ზუგდიდელი თეონა გაჭრაძე საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის წევრები არიან. ისინი თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ დიარბაქირის ქალ ფეხბურთელთა გუნდ «ამედსპორში» თამაშობენ - ორივე ამ გუნდში 6 თვის წინ ჩარიცხეს

დამანგრეველმა მიწისძვრამ დიარბაქირიც მიწასთან გაასწორა. ქართველ გოგონებს სამი დღის განმავლობაში თავშესაფარი არ ჰქონდათ. მათი გასაჭირი ყურად იღო თათიას დედის შორენა კაჭარავას მეგობარმა, ერაყის რესპუბლიკაში დროებით მომუშავე მაია დოლიძე-ბედინეიშვილმა.

მაია და შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ცინარეთის მკვიდრი ავთანდილ ხუჯაძე წლებია, ემიგრანტები არიან და ოჯახებით მეგობრობენ. ავთანდილსა და ლია ბერიძეს ამ დღეებში მეორე ვაჟი შეეძინათ. მაიამ, როგორც კი გაიგო თათიასა და თეონას გაუსაძლისი მდგომარეობა, ავთანდილს თანადგომა სთხოვა. მანაც ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, ერაყიდან კურსი დიარბაქირისკენ აიღო, გავერანებულ და იავარქმნილ ქალაქში მიაკვლია განსაცდელში მყოფ თანამემამულე გოგონებს და საქართველოში შემოიყვანა.

«აჭარა» თეონას ესაუბრა:

- სამდღიანი შიშისა და სტრესის შემდეგ, მე და თათია გაბუნია ჩამოვედით დიარბაქირიდან, კარგად ვართ. ეს დღეები არ შეჩერებულა ტელეფონის ზარები და სოციალურ ქსელში შეტყობინებები, ყველას აინტერესებდა ჩვენი ამბავი. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მივმართავ ყველას, თქვენი გვერდით ყოფნა გვაძლიერებდა. მინდა მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, ვინც იზრუნა და ჩამოგვიყვანა საქართველოში: საქართველოს ქალთა ფეხბურთის ფედერაციას, უშუალოდ დავით მუჯირს, დათო გოგოლაძეს, ნია წივწივაძეს, შორენა კაჭარავას და რაც ყველაზე მთავარია - ქართველ ვაჟკაცს ავთანდილ ხუჯაძეს. ადამიანები გმირებად არ იბადებიან. მათ გმირებად საქმე აქცევს. ორი შვილის მამა ავთანდილი მხსნელად მოგვევლინა. იმრავლოს ასეთმა ადამიანებმა. კიდევ ერთხელ, მადლობა ყველას.

თათიას დედა შორენა კაჭარავა, მამიდა შორენა გაბუნია ავთანდილის მისამართით სამადლობელ სიტყვებს არ იშურებენ: «ავთანდილ ხუჯაძეს უღრმესი მადლობა ამ სიკეთისთვის, თავდადებისთვის. გმირობაა, ერაყიდან თურქეთში, დიარბაქირში, მიწისძვრას გადარჩენილი ბავშვების დასახმარებლად ჩახვიდე და სამშობლოში ჩამოიყვანო. მადლობა უფალს, რომ კიდევ არსებობენ თქვენნაირი გმირები». ერაყში მყოფ მაია დოლიძე-ბედინეიშვილს ტელეფონზე შევეხმიანეთ: «ჩემო მეგობრებო, თანამემამულენო, მინდა იცნობდეთ ქართველ გმირ ავთანდილ ხუჯაძეს. ეს ვაჟკაცი საქართველოში წამოსასვლელად მზად არ იყო. როდესაც გაიგო, რომ ორი ქართველი გოგონა გადაურჩა მიწისძვრას, ყველაფერი გადადო და უმალვე სტიქიის ზონაში წავიდა. საკუთარი სიცოცხლეც რისკის ქვეშ დააყენა. მან დიდი წვალების, კატაკლიზმების ფონზე, თოვლიან-ყინულიანი გზებით ატარა სიკვდილს გადარჩენილი ქართველი გოგონები და საკუთარ მშობლებს, ახლობლებს უვნებელი ჩააბარა. მინდა იცოდეთ, რომ ეს ყველაფერი უანგაროდ გააკეთა. მადლობა მის დედას, რომელმაც იგი ობლობაში გამოზარდა, სამშობლოს, ერის, ქვეყნისა და ადამიანების სიყვარულს აზიარა», - გვითხრა მაიამ.

ადენოიდები და მასთან დაკავშირებული პრობლემები

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

ადენოიდები ცხვირის ძგიდესა და ხახის კედელს შორის არსებული ლიმფური ქსოვილია. სტრუქტურით ისინი ნუშურა ჯირკვლებს (ტონზილებს) ჰგავს, თუმცა მათი დაზიანება განსხვავებულ პრობლემებს გვიქმნის, ვიდრე ტონზილიტი. ადენოიდების ძირითადი დანიშნულება, ისევე, როგორც ტონზილებისა, იმუნოგლობულინების წარმოქმნა და ადგილობრივი იმუნიტეტის ფორმირებაა. ისინი უცხო ანტიგენებისგან ორგანიზმის დაცვის პირველად რგოლს წარმოადგენენ, ანუ აკავებენ ინფექციას ზედა სასუნთქ გზებში და ქვედაში გადასვლის საშუალებას არ აძლევენ. ისინი ბავშვებში 3-5 წლის ასაკში იზრდება. 4-10 წლის ასაკში მათი დამცავი ფუნქცია ყველაზე აქტიურია. სქესობრივი მომწიფების პერიოდისთვის კი ისევ სუსტდება, მათი დაპატარავება, უფრო ხშირად 7 წლიდან იწყება. მოზრდილი ადამიანის ადენოიდები უკვე საკმაოდ პატარაა.

ადენოიდების დაავადებათა შორის გამოყოფენ მწვავე და ქრონიკულ ინფექციებს და ჰიპერტროფიას - გადიდებას. გადიდებული ადენოიდები უმეტესად ახშობს ჰაერგამტარ გზებს, რასაც მივყავართ სუნთქვის ძილისმიერ დარღვევამდე, ძილის ობსტრუქციულ აპნოემდე, ძილის ობსტრუქციულ ჰიპოპნოემდე და ზედა სასუნთქი გზების რეზისტენტობის სინდრომამდე. ამ მდგომარეობებს ძილის დროს სუნთქვის გაძნელება და რამდენიმე წამით სუნთქვის შეწყვეტა ახასიათებს.

ადენოიდების შეშუპების ძირითადი მიზეზია ინფექცია ან ალერგია. ინფექციის დროს ადენოიდები საკმაოდ დიდდება, ინფექციური პროცესის ჩამთავრების შემდეგ კი საწყის ზომას უბრუნდება, იშვიათად შეიძლება გადიდებულიც კი დარჩეს.

ადენოიდების შეშუპება, ინფექციურია ის თუ ალერგიული, უპირატესად ვლინდება ნაზალური ობსტრუქციით (ცხვირის გაჭედვით). ინფექციის დროს ადენოიდების შეშუპებას თან ერთვის ტემპერატურის მომატება, ჩირქოვანი რინორეა, პოსტნაზალური ჩანადენი, ყელის ტკივილი. ალერგიული შეშუპების დროს წამყვანია ცხვირის ქავილი, ცემინება, უხვი, გამჭვირვალე გამონადენი ცხვირიდან.

ადენოიდების ჰიპერტროფია, როგორც ვთქვით, იწვევს არა მარტო ცხვირით სუნთქვის გაძნელებას, ძილის დარღვევას, ღამის ობსტრუქციულ აპნოეს, ხვრინვას, არამედ ასევე იწვევს შუა ყურის მორეციდივე ინფექციას, დამსკდარი ტუჩებისა და მშრალი პირის სინდრომს. შუა ყურის მორეციდივე ინფექცია სმენის დაქვეითებისა და დაკარგვის წინაპირობაა. მუდმივად პირით სუნთქვის გამო ფორმას იცვლის პირის ღრუ და ხახა, წინ წამოიწევს და მიმართულებას იცვლის ზედა წინა კბილები (ადენოიდური სახე).

ბავშვთა 2,5%-ს აწუხებს ძილის ობსტრუქციული აპნოე. ამ მდგომარეობამ შესაძლოა, გონებრივი ჩამორჩენილობა გამოიწვიოს და ბავშვის სიცოცხლესაც კი შეუქმნას საფრთხე.

ადენოიდების მდგომარეობის შესაფასებლად ვიწყებთ პაციენტის ანამნეზის შეკრებას, აუცილებელია იმ კლინიკური მახასიათებლების გამოვლენა, რომლებიც თან სდევს ადენოიდების შეშუპებას, შემდეგ ტარდება წინა და უკანა რინოსკოპია, რენტგენოგრაფია, ენდოსკოპია, ზოგჯერ - კომპიუტერული ტომოგრაფიაც. საბოლოოდ, ითვალისწინებენ იმას, რამდენად ავსებს გადიდებული ადენოიდები ქოანებს (ცხვირის ღრუს გასავლებს). თუ ადენოიდების შეშუპება ალერგიული წარმოშობისაა, უნდა შეფასდეს პაციენტის ალერგიულობის სიმძიმე. მკურნალობის ტაქტიკა ეფუძნება ადენოიდების შეშუპების მიზეზს - ინფექციას ან ალერგიას.

ბაქტერიული ბუნების ინფექციის დროს ინიშნება ანტიბაქტერიული მკურნალობა. ზოგჯერ ინიშნება ცხვირის ჰორმონული სპრეიც. ალერგიის დროს გამოიყენება ასევე ჰორმონული სპრეი, ორალური სტეროიდები, ანტიჰისტამინური საშუალებები ან მათი კომბინაციები. ზედა სასუნთქი გზების ბანალური ინფექციის დროს ადენოიდიტი რამდენიმე დღე გრძელდება. ინფექციის ჩამთავრების შემდეგ ადენოიდები კვლავ პატარავდება და პრობლემა ქრება.

როცა მედიკამენტური მკურნალობა სასურველ შედეგს არ იძლევა, დღის წესრიგში დგება ოპერაციული მკურნალობა. ოპერაციის ჩვენებაა, თუ ბავშვს აღენიშნება ღამის აპნოე, ასევე ხშირი მორეციდივე ოტიტი. მნიშვნელოვანია ბავშვის ასაკიც. 3 წლამდე ოპერაციის ჩვენების შეფასება რთულია, 3-4 წლიდან უკვე შეიძლება მივაკვლიოთ ადენოიდების ჰიპერტროფიის მიზეზს და მივიღოთ სწორი გადაწყვეტილება. ხშირად ბავშვებს ერთდროულად კვეთენ ადენოიდებსა და ნუშურა ჯირკვლებს. ტონზილექტომიის ჩვენებაა ხშირი ჩირქოვანი ანგინა, სუნთქვის გაძნელება ტონზილების გადიდების გამო, ხშირი ავადობით გამოწვეული სოციალური პრობლემები: ბაღისა თუ სკოლის ხშირი გაცდენა, ხშირი ანტიბიოტიკოთერაპიის მიმართ მშობლის უარყოფითი განწყობა და ა. შ. ადენოიდექტომიას ახლავს გართულებების რისკიც. მშობელს განსაკუთრებული ყურადღება მართებს ბავშვის ბინაზე გაწერის შემდეგ. სისხლდენა, ცხელება, ძლიერი სიფითრე, საერთო სისუსტე და მივარდნილობა, გულისცემის აჩქარება, ქოშინი - საშიში ნიშნებია და ბავშვი დაუყოვნებლივ საავადმყოფოში უნდა გადაიყვანოთ.

ადენოიდექტომიის შემდეგ ადენოიდების განმეორებით ჰიპერტროფია ასიდან 1-2 პაციენტთან აღინიშნება. მცირე ასაკის ბავშვებს უტარდებათ დამზოგველი ოპერაცია - ქსოვილი მთლიანად არ იკვეთება, რათა ირგვლივ მდებარე სტრუქტურები არ დაზიანდეს. დარჩენილი ქსოვილი კი ზოგჯერ ხელახლა იზრდება, ასევე, ალერგიული ფონიც განაპირობებს რეციდივს. ადენოიდექტომიაც და ტონზილექტომიაც ძალიან სწორი შეფასების ფონზე უნდა ჩატრდეს, სადაც ოტორინოლარინგოლოგთან ერთად აქტიურად უნდა ითანამშრომლოს ბავშვის პედიატრმა, რომელიც ხანგრძლივად მეთვალყურეობს პატარას, იცის მისი ავადობის სიხშირე და ასოცირებული მდგომარეობები.

რომელ სფეროში დასაქმებულებს ეხება ახალი რეგულაციები?

მე-3 გვერდიდან

ახორციელებს დასაქმების ხელშეწყობის პროგრამებს, რომლებიც გამოირჩევა მრავალფეროვნებით და პასუხობს როგორც სამუშაოს მაძიებლების, ასევე დამსაქმებელთა საჭიროებებსა და მოთხოვნებს.

- მაგალითად, პროფესიული უნარების შეძენა-ამაღლების მსურველ სამუშაოს მაძიებლებს ვთავაზობთ პროფესიულ მომზადებას ბაზარზე მოთხოვნად პროფესიულ მიმართულებებში. კურსის შემუშავება და სწავლება (თეორიული და პრაქტიკული კომპონენტი) სწორედ პროგრამაში ჩართულ დამსაქმებელთა და პროფესიული სასწავლებლის სპეციალისტების უშუალო მონაწილეობით ხორციელდება როგორც სასწავლო, ასევე სამუშაო გარემოში. პროფესიული გადამზადება კომპანიებს აძლევს მათთან დასაქმებული ან/და ინდივიდუალური სამუშაო გამოცდილებით მიღებული ცოდნის მქონე პირთა გადამზადების, ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის სრულყოფის შესაძლებლობას სამუშაოსთან თავსებადი სწავლების გზით. არაფორმალური განათლების აღიარება კი ფორმალური განათლების მიღმა მიღწეული შედეგების (სამუშაო გამოცდილება, ინდივიდუალური განათლება) დადასტურებით, პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისი დოკუმენტაციის მიღების შესაძლებლობას იძლევა. „პრაქტიკული უნარების განვითარება“ - ეს კომპონენტი ითვალისწინებს სამუშაოს მაძიებელთა დასაქმებაზე ორიენტირებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. სწავლება ხორციელდება მოკლევადიანი ინტენსიური სასწავლო მოდულით, რეალურ სამუშაო გარემოში. სასწავლო მოდულს შეიმუშავებს დამსაქმებელი კონკრეტული პოზიციის მიხედვით არსებული საჭიროებებისა და მოთხოვნების, სამუშაო გარემოსა და პირობების საფუძველზე. შესაბამისად, დამსაქმებლის ჩართულობით, კომპანიის სპეციფიკის გათვალისწინებით, კონკრეტული პოზიციის შესაბამისი ფუნქციის შესასრულებლად მომზადდება ადამიანური რესურსი. სააგენტო პროფესიული მომზადება-გადამზადების ქვეპროგრამის მიღმა, სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებებზე გათვლილ ქვეპროგრამებსაც ახორციელებს, მაგალითად, როგორიცაა სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა, შშმ პირთა პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობა, დასაქმების ხელშეწყობა ციფრული უნარების განვითარების გზით, დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა სამუშაო იარაღებით უზრუნველყოფის გზით, კვალიფიკაციის ამაღლება არაფორმალური განათლების გზით, საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობა, - განაცხადა თემურ კახიძემ.

„სამსახურში არაპროდუქტიული ვარ, გამოვიფიტე. ხშირია როცა ჩემი სამუშაო საათები სრულდება, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ მომხმარებელი ზის მაგიდასთან, უნდა დაელოდო. ორი საათით და მეტითაც ზედმეტად დავუტოვებივარ უფროსს, სახლში დროზე ვერ მივსულვარ შვილებთან, დამატებითი ანაზღაურებაც არ მოუცია, ჩვენთან ხომ ასეთი მიდგომაა: გინდა - იყავი, არ გინდა და მიბრძანდი“, - გვითხრა მარიკა ბეჟანიძემ, რომელიც ერთ-ერთ რესტორანშია დასაქმებული და იმედი გამოთქვა, რომ ახალ რეგულაციებს დამსაქმებლები გაითვალისწინებენ, რათა ერთხელ და სამუდამოდ, დაცული იყოს ჩვენს ქვეყანაში თითოეული ადამიანის შრომითი უფლება.

როგორ ვიცხოვროთ აუტიზმთან ერთად?

მე-6 გვერდიდან

კონკრეტულ შემთხვევაში, თუმცა ჩვეულებრივ მოიცავს: მეტყველების, გონებრივი განვითარების, საზოგადოებრივი ქცევის და ადამიანებთან ურთიერთობის პრობლემებს.

აუტისტი ბავშვები ან სულ ვერ სწავლობენ ლაპარაკს, ან სხვა ბავშვებზე გაცილებით გვიან იწყებენ. მათი მეტყველება ხასიათდება თავისებური ენობრივი ნიშნებით, ხშირად სიტყვა არ შეესაბამება თავის მნიშვნელობას. ისინი, ვინც შედარებით უკეთ მეტყველებენ, ხმარობენ უცნაურ მეტაფორებს ან ლაპარაკობენ ფორმალური და მონოტონური ხმით. აუტისტი ბავშვები ხშირად საკუთარ თავს აღნიშნავენ სახელით და არა „მე“-თი, ახასიათებთ სხეულის მოძრაობის გამეორება, ხელის მკვეთრი მოძრაობა, გრეხა, ტრიალი, ქანაობა... ზოგი მკვლევარი აუტისტი ბავშვების დახასიათებისას ხმარობს ტერმინს „ემოციური წონასწორობის დარღვევის მქონე“. ვინაიდან, აუტიზმი განსხვავდება სიძლიერისა და სიმპტომების მიხედვით, შესაბამისად, მისი ძირითადი პრობლემების აღწერას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აუტიზმით დაავადებულ ბავშვებს განსაკუთრებით უჭირთ ლაპარაკის სწავლა, საზოგადოებრივი ქცევა და ადამიანებთან ურთიერთობა.

ჩარლზ III უკრაინელ სამხედროებს შეხვდა

დიდი ბრიტანეთის მეფე ჩარლზ III, წვევამდელების გარდა, სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის ახალი ზელანდიიდან, ავსტრალიიდან, კანადიდან, ლიეტუვიდან, ნორვეგიიდან, დანიიდან, ნიდერლანდებიდან, შვედეთიდან და ფინეთიდან ჩასულ ინსტრუქტორებსა და უკრაინელ სამხედროებს ეწვია, რომლებიც ინგლისში წვრთნებს გადიან.

ჩარლზ მესამეს თან ბრიტანეთის გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი სერ პატრიკ სანდერსი ახლდა.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 20/02/23, 20 05 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„ყველაზე უცხო სამოსით დადის სიყვარული“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ანაბელი სალომე ონეზაშვილი, სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა მკითხველთა ყურადღება მიიპყრო. 16 წლის გოგონას ლექსებმა აღაფრთოვანა მკითხველი. სალომე უკვე ოთხი წელია, ინტენსიურად წერს და აქვეყნებს ლექსებს. ერთ-ერთ პრესტიჟულ ლიტერატურულ კონკურსშიც გაიმარჯვა. იგი ამჟამად გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სტუდენტია, წარმატებით ეუფლება ჟურნალისტიკას, მონაწილეობს ლიტერატურულ ღონისძიებებში.

„სული ლექსებით მოხატული ვარსკვლავეთია“ - ასე გამოხატავს თავის სულიერ სამყაროს ახალგაზრდა პოეტი და ეს ინტერვიუც ამ აზრის გახმოვანებაა.

- გვიამბეთ საკუთარ თავზე.

- ცხოვრების პირისპირ სცენაზე ლექსებით 15 წლის ვიდექი ისე, რომ არც მეგონა, სადმე ჩემი მკითხველიც თუ არსებობდა. 4 წელი გავიდა, სათქმელი ყველაფერმა გამიჩინა. „არასდროს მესმოდა, რას ვწერდი“, ყოველთვის ყველაფერს ვეძებ, ეს ყოველივე ამანაც გამოიწვია. თავიდან იყო გაკვირვება, რომ ამდენი ხნის დუმილი ფუჭი იყო. ვიღაცას უნდა გაეგო ჩემი ხმა... ჩემი ლექსებიც თითქმის ყველას ტკივილს ეხმაურება. მიყვარს ზეცაზე წერა, მიტაცებს თეატრიც (ბევრი სცენაა ჩემს ლექსებშიც), ამჟამად კი ჟურნალისტიკაზე ვსწავლობ. ვფიქრობ, ის, რაც ჩემში იღვიძებს, უნდა ვწერო გამუდმებით. იყვნენ ადამიანები, ვინც არ მომიწონა - არ ღირსო და ეცადა, წერა დამევიწყებინა, მაგრამ მაინც ვწერ. მინდა, ყველაზე და ყველაფერზე ჩემი ლექსებით გავიმარჯვო, როგორც არ უნდა ეღერდეს.

- თქვენი ლექსები ცირა ბარბაქაძის წიგნში „მიწისქვეშა ადამიანები“ გამოქვეყნდა, ამის თაობაზე გვიამბეთ.

- დამთხვევების მჯერა, სპონტანურადაც ბევრჯერ გამომსვლია ნაწერი, რომელსაც მოწონება მოჰყოლია. ესეც მათ შორისაა. სოციალურ ქსელში ერთ-ერთ გვერდზე კონკურსის შესახებ შევიტყვე, კონკურსანტების ტექსტებს გავეცანი და ჩემიც გავგზავნე, დიდი იმედი არ მქონდა, თუმცა მიყვარს გამოწვევები, რაც უნდა მოჰქონდეს. ეს იყო ის აღმასვლა, რამაც კიდევ უფრო მეტად დამარწმუნა საკუთარ თავში. რამდენიმე დღეში დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ იმ თხუთმეტ ადამიანს შორის ვიყავი, ვის სახელებსაც წიგნი შეინახავდა. დღემდე მახსოვს ემოციები - გაკვირვება, სიხარული. ამ ყველაფერმა ახალი ფურცელი გადაშალა ჩემს ცხოვრებაში.

- ფეისბუქზე ლიტერატურული ჯგუფის წევრებს თქვენი ლექსები მოსწონთ, რას ნიშნავს ეს თქვენთვის?

- სათქმელის ღიად თქმა არასდროს მიყვარდა. ვიყავი და დღემდეც ვარ ადამიანი, რომელსაც უზიარებენ თავიანთ სათქმელს. ჩემი ლექსების გამოქვეყნება დედაჩემის ემიგრანტობას დაემთხვა. მაშინ მივხვდი, რომ რაღაც ძალიან მომაკლდა და ამასთანავე რაღაც უფრო და უფრო გროვდებოდა ჩემში. ავუჯანყდი საკუთარ ფიქრებს. არ ვიცი, რას გავურბოდი, მაგრამ უნდა დამეთმო ყველაფერი და სწორადაც მოვიქეცი. პირველი ლექსი 2020 წლის 28 აგვისტოს გამოვაქვეყნე და იქვე გაჩნდა მისი მკითხველიც, მაწუხებდა და დღემდე ეგრეა, ყელში გიჭერს ის სიტყვები რაც ჯერ არ დაგიწერია, მკითხველი კი ამით იკვებება, ჩემთვის ყველაფერზე ნამდვილია - სადღაც ვიღაცას რომ ვუყვარვარ და ჩემი ლექსი იცის.

- მოუხურე ცხოვრებას კარი
და უთხარი, რომ ადრე დაგიკაკუნეს
და არავის ელი, უთხარი, რომ
ბავშვობიდან არ გიყვარს ჩემოდნები
და არც ის, როგორ მიყავხარ სხვა
ცხოვრებაში ამ ჩემოდნებს...
განაგრძეთ, ეს ლექსი ჩვენი გაზეთით...

- ხდება ისე, რომ რასაც ვწერ, შეიძლება არ ვეთანხმებოდე და ამ დროს მხოლოდ იმაზე მეფიქრება, ჩემამდე მოვიდა-მეთქი, ან იმ წუთის ემოცია იყო. ჩემს ლექსებს ყოველთვის სხვადასხვანაირად იგებენ და ეს მომწონს კიდეც... ცხოვრებას კარს ვერ მოვუხურავ, როგორც არ უნდა ვეცადო, მაინც დამიკაკუნებენ, ჩრდილში დგომა კარგია, მაგრამ ვიღაც ჯერ არდაბადებული მოგაკითხავს, ხანდახან მარტოობის გარდა ყველა გარეთ რჩება. ზუსტად მაგ დროს მიკაკუნებს მუზა და როგორ ვუთხრა, შინ არ ვარ-მეთქი?!

- „სიკვდილმა არ იცის რა ფერის თვალები აქვს სიყვარულს“, - წერთ ერთ ლექსში, ანუ...

- სიყვარულზე სხვანაირი წარმოდგენა მაქვს და ეს ლექსებშიც ჩანს ალბათ. მე ჩემი სარკმლიდან ვუყურებ ამ ყველაფერს. აქ ყველაზე ღირებულზე ვსაუბრობ, მწამს რაღაც მარადიულის და უმთავრესად, რაღაც მარადიულის კვალის, რაც არ ხავსდება. მხოლოდ ის ვიცი, რომ სიკვდილი ნამდვილ გრძნობებს ვერაფერს გაუგებს, ვერც მის ფერებს მიაგნებს... მუდმივი ფერი არც აქვს, სადღაც მისგან მალულად, ყველაზე უცხო სამოსით დადის სიყვარული, იქნებ ვინმემ იცნოს...

- ნოდარ დუმბაძის გმირების აზრით, ლექსს სიყვარული აწერინებს ადამიანს, ასეა?

- ძნელია დუმბაძის გმირებს არ დაეთანხმო, მაგრამ წერა სულ სხვა ტყავში გამყოფებს, შენს გრძნობებსაც კი გვერდიდან უყურებ, თითქოს. რა არ გამხდარა ჩემი მუზა და მაინც ყველაზე უბრალო, შეუმჩნეველი რაღაცები მიტაცებს. სიყვარული აუცილებელია ლექსის დამწერისთვის, რაღაც ან ვიღაც უნდა ჰქონდეს/ჰყავდეს ახლოს... უნდა იგრძნოს.

- „მხოლოდ პოეტს აქვს უფლება, იყოს უბედური“, - ამბობდა აღმოსავლელი ბრძენი, თქვენი აზრი ამის თაობაზე და საერთოდ, როდის არის ადამიანი ბედნიერი ან უბედური?

- ბედნიერება და უბედურება ჩვენი მოწყობილი სპექტაკლია. პოეტს თავისი ტვირთი აქვს, ღმერთის თვალებს თხოულობს, რომ ის იგრძნოს, ვისზეც არც კი სმენია. ვფიქრობ, სულში მოსეირნე მეგზურია, უბედურების და ბედნიერების შეგრძნებას სასჯელივით უწესებს თავს. ხარნაული წერს: „ერთი ცრემლით ვარ თქვენზე მეტი“, - ეს არის პოეტი. თუ ნამდვილად შემოქმედია, მივა ყველას ტკივილთან

- მწერლები, რომლებიც თქვენი მეგზურები არიან...

- ჩემთვის ახალი გზა და ხედვა შექმნა კაფკამ. ნამდვილად გარდამსახა, ის მაპოვნინა, რასაც ვეძებდი... მომწონს კამიუც მისივე თავისუფლების განსაზღვრებით, ოთარ ჭილაძე, პოეზიითაც და პროზითაც, ორივეთი ვიკვებები, დანარჩენები, უბრალოდ, თუ დამემგზავრებიან.

- ადამიანები, რომელთა არსებობამ და მაგალითმა ძალა შეგმატათ?

- ლექსებთან ერთად ლიტერატურული ფსევდონიმიც გავიჩინე - ასეთი ადამიანიც ზუსტად ამ სახელით გამოჩნდა - ანაბელ კლაუსი - იგი ყოველთვის ახალ სივრცეს მაძლევდა, მოტივაციის ყველაზე ნათელი წყარო, ნებისმიერ დროს რომ ესტუმრები და საჭირო სიტყვას მოისმენ. ლექსების გამოქვეყნების შემდეგ გავიცანი პოეტი ზაალ ჯალაღონია, რომელმაც დამარწმუნა, რომ პოეზია ჩემში საჭირო დროს გაჩნდა და სწორ ადგილას ვარ, მისი პოეზიის აქტიური მკითხველიც გავხდი, ამან ჩემს განვითარებასაც შეუწყო ხელი. როზა ადამია - ადამიანი, რომლის სახელის შესახებ მინდა ბევრმა გაიგოს, აბიტურიენტობის დაღლა და შფოთვა გამიქრო. ჩემთვის მასწავლებლები, მიუხედავად ყველაფრისა, სივრცის ადამიანები იყვნენ. პირველივე გაკვეთილზე დავრწმუნდი, რომ მას ვეძებდი. ცოტა რამ თუ გამაოცებს ხოლმე და მახსოვს, ყოველი გაკვეთილის დასასრულს როგორი გაოცებული ვიყავი, რაზეც მიფიქრია, კითხვა მქონია, ყველაფრის პასუხი მასთან ვიპოვე.

- თვისება, რომელიც ყველაზე მეტადაა თქვენში განვითარებული?

- ბევრს აღუნიშნავს, რომ მაძიებელი ვარ, ალბათ, მართლაც ესაა ჩემი განსაკუთრებული თვისება, თუ ვიცი, რომ ეს ჩემი გზაა, ყველაფერი რასაც ვაკეთებ, ჩემია, ვერაფერი მაშორებს.

- როცა მარტო რჩებით, რა არის თქვენი ფიქრის საგანი?

- ფიქრი ძალიან მიყვარს და ჩვევადაც მაქვს ზედმეტი ფიქრი. მარტო ყოფნა მიყვარს, ხშირად ყველაზე უმნიშვნელო რაღაცაზეც საათობით მიფიქრია. ძირითადად, კონკრეტულზე არ ვფიქრობ, რაღაც ახალი ყოველთვის ჩნდება ერთიანად, მაგ დროს ჭილაძეს ვკითხულობ...

- რა აქცევს, თქვენი დაკვირვებით, ადამიანის ცხოვრებას მშვენიერებად?

- მშვენიერებას ყოველთვის იპოვი, თუ სურვილი გაქვს. რაც შემეხება მე, უნიღბოდ ყოფნა მიყვარს, ამას მოაქვს მშვენიერება, სიყვარული, ურთიერთობა - რისთვისაც ვართ. დარდიც იქნება, მაგრამ გაგეფიქრება და საკუთარი თავი მაინც გეყვარება, რომ არ ითამაშე. წინასწარ არ ვიცი, რა ვთქვა, მაგრამ, იმედია, ჩემთვის ნიღაბს არ შეკერავს ცხოვრება.

- თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

- ზოგადად, არ მიყვარს საქმე რომ არ მაქვს, ვცდილობ, რაღაც გავიგო, ახალი ავტორების აღმოჩენა მიყვარს, მათი წერის სტილის შესწავლა. გატაცებული ვარ, ასევე, კინემატოგრაფიით. თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად მსგავს საკითხებს განვიხილავთ.

- დაბოლოს, ფრაზა, რომლითაც დაამთავრებდით ამ საუბარს?

- რადგან ბოლოა, ჩემს ლექსს მივანდობ - „შენს ჩამოშლილ მხარეს, რომელსაც ადამიანები ვერასდროს დაინახავენ, ლექსებს უმზერ“.

ბაკურიანი – ზამთრის სპორტის ეპიცენტრი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

საქართველო პირველად მასპინძლობს სამთო-სათხილამურო სპორტში, კერძოდ, ზამთრის სპორტის სახეობებში - ფრისტაილში, სნოუბორდსა და ფრისკიში მსოფლიო ჩემპიონატს, რომელშიც 42 ქვეყნის 700-მდე სპორტსმენი მონაწილეობს

ბაკურიანში 1700 კაცზე მეტია დარეგისტრირებული - სპორტსმენები, მწვრთნელები, დამხმარე პერსონალი. ჩამოვიდნენ საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლები, ექიმები, მსაჯები, ჟურნალისტები და სხვ. მსოფლიო პირველობა ორ წელიწადში ერთხელ იმართება, 2021 წლის ჩემპიონატი კი პანდემიის გამო გაუქმდა, ამიტომაც წლევანდელ ტურნირს ყველა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. შესაბამისად, ბაკურიანში თითქმის ყველა მაღალი კლასის სპორტსმენი იმყოფება. საქართველო მეთექვსმეტე ქვეყანაა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს.

საქართველო ამ ჩემპიონატისთვის ხუთი წელი ემზადებოდა - მას შემდეგ, რაც 2018 წელს, საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციამ 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა მოგვანდო. სხვათა შორის, მაშინ ჩვენთან ერთად ჩემპიონატის ჩატარების ადგილად მოიაზრებოდა ისეთი ქვეყნები, როგორიცაა შვეიცარია, ავსტრია, იტალია, გერმანია... არჩევანი ჩვენზე შეჩერდა, რაც დიდი პასუხისმგებლობაცაა და გამოწვევაც.

18 თებერვალს მსოფლიო ჩემპიონატი ოფიციალურად და საზეიმოდ გაიხსნა, ასპარეზობები კი 16 თებერვლიდან დაიწყო და 5 მარტს დასრულდება.

სპეციალურად მოწყობილ სცენაზე ჩოხებში გამოწყობილმა ბიჭებმა ყველა მონაწილე ქვეყნის დროშა შემოიტანეს. წამყვანებმა - მუსიკოსმა დათუნა ალადაშვილმა და მომღერალმა ელენე კალანდაძემ ყველა ოფიციალური პარტნიორი და სპონსორი დაასახელეს. ბაკურიანის ჩემპიონატის ოფიციალური წარმდგენია სილქ როუდ ჯგუფი.

შეკრებილთ მიესალმა საქართველოს ვიცე-პრემიერი, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, რომელმაც აღნიშნა:

- ასეთი მასშტაბური ღონისძიება სპორტის ამ სახეობებში საქართველოში არასოდეს ჩატარებულა, ეს დიდი პატივი, საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის მხრიდან ჩვენი ხალხისა და ქვეყნისადმი, ჩვენი მთავრობისადმი გამოცხადებული დიდი ნდობაა, რისთვისაც მადლობას ვუხდი მათ. მივესალმები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ბაკურიანში ჩამოსულ დელეგაციას, ეროვნულ ფედერაციას, სპორტსმენებს, პირველ რიგში, ვინც უნდა იასპარეზოს. ვუსურვებ მშვიდობიან შეჯიბრს და წარმატებას. ამ ჩემპიონატზე რომ საქართველო ღირსეულად ყოფილიყო წარმოჩენილი, მთავრობამ, არაერთმა უწყებამ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ საოცარი მონდომებით იმუშავა. ამ ყველაფრის უკან დგას ბაკურიანის, მთლიანად საქართველოს უპრეცედენტო ინფრასტრუქტურული განვითარება. ჩვენ, ყველამ ერთად, ეს შევძელით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა მადლობა გადაუხადა საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციას გამოცხადებული ნდობისთვის. აღნიშნა, რომ ბაკურიანში სამთო-სათხილამურო თანამედროვე ინფრასტრუქტურის შესაქმნელად სახელმწიფომ 270 მილიონი ლარი გაიღო. დღეს ბაკურიანში არის ყველაზე გრძელი 29-კილომეტრიანი ხელოვნური გათოვლიანების სისტემა, ძალიან მნიშვნელოვანი წყლის რეზერვუარები, საბაგირო გზები და ტრასები, ყველაფერი, რაც მსოფლიო ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარების უფლებას გვაძლევს. შეიქმნა ინფრასტრუქტურა, რომელიც ამ კურორტს მოემსახურება და შეგვეძლება მაღალი დონის საერთაშორისო ტურნირების ჩატარება.

შეკრებილთ მიესალმა სილქ როუდ ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი რამიშვილი.

მსოფლიო სათხილამურო ფედერაციის სახელით საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის გენერალური მდივნის მოადგილე ნიკლას კარლსონი გამოვიდა და აღნიშნა, რომ ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩასატარებლად საორგანიზაციო კომიტეტმა ყველაფერი გააკეთა. ამისთვის მადლობა გადაუხადა ყველას, მათ შორის, საქართველოს მთავრობას. მანვე ოფიციალურად გახსნილად გამოაცხადა მსოფლიო ჩემპიონატი. ანსამბლ „მართველ“ მიერ შესრულებულმა „მრავალჟამიერმა“ მხურვალე ტაში დაიმსახურა. „მართველ“ შეასრულა ასევე საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი. შემდეგ სცენა დაეთმოთ ცნობილ პიანისტ ბექა გოჩიაშვილსა და მომღერალ ელენე კალანდაძეს.

რაც შეხება სპორტის სახეობებს, რომელსაც ბაკურიანი მასპინძლობს. ფრისტაილი თავისუფალი სტილით სრიალია - საჰაერო ნახტომები, აკრობატიკა, ექსტრემალური ელემენტები, რომელიც თავისი ულამაზესი სანახაობით, ადამიანის ემოციებსა და განწყობაზე მოქმედებს. მასში პირველი შეჯიბრი 1986 წელს გაიმართა საფრანგეთის კურორტ ტინში, მსოფლიო სათხილამურო ფედერაციამ კი ექსტრემალური სპორტის ეს სახეობა რამდენიმე წლით ადრე - 1979 წელს აღიარა და მას შემდეგ სულ უფრო ვითარდება. მსოფლიო ჩემპიონატი ყოველ კენტ წელში ტარდება. ბაკურიანის ჩემპიონატზე მედლების 30 კომპლექტი გათამაშდება. იქაურ დამსვენებლებსა და სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის ჩამოსულ სტუმრებს საშუალება ექნებათ თვალი ადევნონ დიდველის და კოხტა-მიტარბის ტრასებზე მიმდინარე შეჯიბრებებს. „ბაკურიანი 2023“ მსოფლიო ჩემპიონატს საერთაშორისო არხი - ევროსპორტი გადასცემს. საინფორმაციო მხარდამჭერებია ევრონიუს საქართველო და სილქ უნივერსალი, რომელსაც 200 მილიონამდე ტელემაყურებელი ნახავს.

რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია თავად ის ფაქტი, რომ საქართველო ასეთი მაღალი რანგის ტურნირის მასპინძელია, რადგან ამას შესანიშნავი შედეგი მოჰყვება - დაგვრჩება ახალი ინფრასტრუქტურა, გაიზრდება ჩვენი ქვეყნის პოპულარობა, მას მსოფლიო გაიცნობს და სულ მალე, საქართველოში ზამთრის ტურიზმი და სპორტი წამყვან ადგილს დაიჭერს.